სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 10 ივლისი 2003 №126 (1897) | ფასი 50 თეთრი

გივი ნოდია დინამოს აფრთხილებს



ტირანა ტიპიური სამხრეთელია, რომელიც ნერვებს მოგვიშლის

ალბანელი ჟურნალისტი მიქელე იანკუ საგანგებოდ „სარბიელისთვის"

ქართველებთან წაგება მოგვბეზრდა!

გაპროშული ამბავი

იწვალა საწყალმა ლაზიკამ, იწვალა და...

კიდევ ერთი ჩხაიძე უმაღლეს ლიგაში





ძველი როქი ფოთში

ფილია წავიდა, ტყებუჩავა მოვიდა



დავით სირაძის მაგალითი

ჩაიხედე კონტრაქტში!

ახალგაზრდა, ნიჭიერი ქართველები კარიერას ხშირად საკუთარი ხელმოწერით იმრუდებენ

ტირანა: ტიპიური სამხრეთელი, რომელიც ნერვებს მოგიშლის

ბადრი ჯეიფარიძის ფოტო

გივი ნოდია: მაცნე მოიდა რუიტსა

„დინამოს" გერმანული შეჯრება დამთავრებულად ჩავთვალოთ. დღეს თბილისელები სამოყვარულო „მენინგენს" ეთამაშებიან, ხვალ ივარჯიშებენ და ზეგ დილით შინისკენ იმ თვითმფრინავით გამოემგზავრებიან, რომლითაც მათი თანაქალაქელი „ლოკომოტივი" გერმანიაში ჩაფრინდება

„დინამოს" ბანაკში ახალი არაფერია. ივო შუშაკმა უკვე გაისტუმრა გასასინჯი უცხოელები, დანარჩენებს კი ძველებურად ავარჯიშებს. „დინამოს" პრესსამსახურის უფროსის ლევან სალუქვაძის ცნობით, ვიტალი დარასელია და ლადო ბურდული გუშინ დილით „შტუტგარტის" სამედიცინო ცენტრში გამოიკვლიეს. ივო შუშაკი და მისი ნაცნობი ტომისლავ გოროვაცი „შტუტგარტის" ხორვატ კაპიტან ზვონიმირ სოლდოს დაუკავშირდნენ, შტუტგარტელ ექიმებთან შუამდგომლობა სთხოვეს და დარასელიამ და ბურდულმა საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება სწორედ სოლდოს დახმარებით გაიარეს. ბურდულს ამ ზამთარს დაზიანებული კუნთი დღესაც აწუხებს, დარასელიას კი მუხლი ასტკივებია. შტუტგარტელ ექიმებს უთქვამთ, ბურდულს სანერვიულო არაფერი აქვს, საჭირო პროცედურები ჩაიტაროს და ოთხ დღეში ტკივილი დაავიწყდება, დარასელია კი უფრო საფუძვლიან გამოკვლევას საჭიროებსო. თუმც ამის მიუხედავად ორივე 16 ივლისს „ტირანასთან" ითამაშებს. შუშაკს მათი მებრძოლი ხასიათის იმედი აქვს.

გუშინწინ სწორედ „ტირანას" საქმეში სანახავად ბუდაპეშტში ჩავიდა „დინამოს" სპორტული დირექტორი გივი ნოდია. ის რუიტში წუხელ დაბრუნდა და ვიდრე შუშაკს მეტოქეზე თავის შეხედულებას გაუზიარებდა, ეს გვითხრა:

„ფერენცვაროშ" — „ტირანას" მატჩი უნგრელთა ბაზაზე გაიმართა. ალბანელებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ გამოცა „ფერენცვაროშის" უსუსურმა თამაშმა. თუმც ალბანელებს დამსახურებას არ ვუკარგავ.

„ტირანა" ტიპიურ სამხრეთულ ფეხბურთს თამაშობს, ტექნიკურს, ბურთთან ძალიან კარგად არიან. ისინიც ჩვენსავით 3-5-2 სისტემით თამაშობენ: სამი მცველი, მათ შორის ერთი ლიბერო; ერთი საყრდენი, ორი ინსაიდი, ორიც განაპირა ნახევარმცველი და ორიც ფორვარდი, ერთი ოდნავ უკან მოთამაშე. განსაკუთრებით გამოვარჩევდი „ტირანას" 10 ნომერს, მარცხენა ინსაიდს, საკმაოდ სწრაფი, გონიერი და მოქნილი ბიჭი ყოფილა.

პირველი ტაიმი 1:1 დამთავრდა, ალბანელებმა შესვენების შემდეგ ტემპს უმატეს და გამარჯვების გოლიც გაიტანეს, ეს კი მათ კარგ ფიზიკურ მომზადებაზე მეტყველებს. „ფერენცვაროშთან" მატჩისას ისიც აშკარა იყო, რომ ამ გუნდს რეზერვი აქვს.

ერთი სიტყვით, „ტირანა" ყველა რგოლში დაბალანსებული გუნდია და, გავიმეორებ, ტექნიკური. ასეთ გუნდებთან კი ჩვენებს თამაში ყოველთვის უჭირდათ. „ტირანა" ბურთის გაკონტროლებასაა ნაჩვევი, რაც ქართველებს მაინცდამაინც არ ეპიტნავებათ.

ხელწამოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არ გვყავს, თუმც მაინც ვფიქრობ, რომ „დინამო" თუ თავის შესაძლებლობებს ბოლომდე გამოავლენს, გაიმარჯვებს. მთავარი ჩვენი გუნდის თამაშია.

კოტა ინასარიძე

ალბანელის კითხვა ქართველებს: როდემდე იქნებით უხერხულები?

ვიქტორ იანკუ ტირანიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის"

საკმაოდ ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრების შემდეგ დღეს „ტირანა" ალბანეთში ბრუნდება. გუნდის ახალი მწვრთნელი სულეიმან მემა და „ტირანას" სხვა ხელმძღვანელები უნგრული მოსამზადებელი პერიოდით კმაყოფილები არიან.

ბადრი ჯეიფარიძის ფოტო

ხუთი წლის წინ „ეროვნულიდან" გაძევებული პინარი ისევ ჩამოვა

გუნდს ბუდაპეშტში ორი ახალი ფეხბურთელი შეემატა — ჯუპი, რომელიც „ტირანამ" თურქული „დიარბაქირიდან" 200 ათას დოლარად იყიდა და ცენტრალური მცველი პინარი ტირანის „დინამოდან". ეგებ გახსოვდეთ, რომ პინარი სწორედ ის ფეხბურთელია, რომელიც 1998 წლის 5 სექტემბერს საქართველო — ალბანეთის მატჩისას გაძევეს. 1998 წელს თბილისში იყო სულეიმან მემაც, რომელიც ალბანეთის ახალგზარდულ ნაკრებს წვრთნიდა. მისმა გუნდმა 1:0 მოიგო.

„ტირანამ" უნგრული შეკრებისას ხუთი ამხანაგური მატჩი გამართა. „ვიდეოტონთან" ორჯერ ფრედ, 0:0 და 1:1 ითამაშა, „ფერენცვაროში" 2:1 დაამარცხა, „უიპეშტს" 5:1 მოუგო, ხოლო პირველლიგელ „რეაცს" 3:0.

როგორც სულეიმან მემამ გვითხრა, ტირანელებიდან ამ მატჩებში გამორჩეულან თავდამსხმელები მერკუჩი და ფორტუსი, რომლებმაც სამ-სამი გოლი გაიტანეს.

წინა სეზონის შემდეგ „ტირანას" შემადგენლობაში სხვა ცვლილებები



ბადრი ჯეიფარიძის ფოტო

სულეიმან მემა

არ მომხდარა. ჯუპისა და პინარის შემატებით კი გუნდს ამბიცია გაეზარდა, ჩვენ კი ალბანელებისთვის ყოველთვის უხერხული ქართული გუნდის ძლევის მეტი იმედი მოგვეცა. დღესვე გაირკვა, რომ „დინამო" — „ტირანას" მატჩს თბილისში შვიდი-რვა ალბანელი ჟურნალისტიც დაესწრება. გუნდი თბილისში 15 ივლისს ჩარტერული რეისით გამოფრინდება.

გოგა გახოკიძემ ჰოლანდიურ „ტვენტესთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა თუ არა, საქმეს ახალი კლუბის ოფისიდან გამოსვლისთანავე შეუდგა — გუნდს ბაზაზე მიაკითხა და მზადება დაიწყო. გუშინ და გუშინწინ „ტვენტესთან" ერთად დღეში ორჯერ ივარჯიშა, დღეს კი საწვრთნელი მატჩიც ელის.

გოგა ჯერჯერობით ენსხედეს სასტუმროში ცხოვრობს. ბინას კლუბი კვირის ბოლოს გამოუყოფს და ისიც ოჯახთან ერთად მომავალ ზაფხულამდე ამ ქალაქში უნდა მოვიკითხოთ

გახოკიძის ტვენტეს გახოკიძის დინამო ახსოვს

— **„ტვენტესთან" კონტრაქტს ხელი მოვაწერე და პირდაპირ სავარჯიშოდ გავეშურე.** კლუბმა პრეზენტაცია მეორე დღეს მოაწყო, ოფისში ხალხმრავლობა იყო, ჟურნალისტების გარდა ჩემს წარდეგნას ბევრი ქომაგიც დაესწრო — გვითხრა გუშინ გოგა გახოკიძემ — ძალიან კმაყოფილი ვარ, არ მეგონა, „ტვენტეში" ასე კარგად თუ მიცნობდნენ. ასეთი შეხვედრა-დახვედრა ჩემთვის მოულოდნელი იყო. ვიმედოვნებ, მთელი სეზონი ასე გაგრძელდება.

— სათამაშო ნომერს უკვე მიიღებდი...

— კი, შვიდიანი. ჩემი საყვარელი ციფრია.

— მთელ მოსამზადებელ პერიოდს ჰოლანდიაში გაატარებთ?

— ჯერჯერობით აქ ვართ და როგორც ვიცი, არც უცხოური შეკრება იგეგმება. ხვალიდან თითქმის ყოველდღე საწვრთნელი მატჩები გვექნება. სათამაშოდ გერმანიაშიც წავალთ. 2 აგვისტოს ესპანური „სარაგოსა" იქნება „ტვენტეს" მეტოქე, 9-ში თასის გათამაშება იწყება, 16 აგვსიტოს კი ჩემპიონატი.

— მიზნად რა გაქვთ?

— პსვ, „აიაქსი" და „ფეიენოორდი" ალბათ ისევ ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. მათი შემჩერებელი ჰოლანდიაში დღესდღეობით არ ჩანს. ჩვენ კი უეფას თასის საგზურის მოპოვებას ვეცდებით. უფროსობამ ასეთი მიზანი დაგვისახა.

— წინა სეზონის მე-12 ადგილის შემდეგ რეალურია ხელმძღვანელობის მოთხოვნა?

— რა ვიცი, ერთი შეხედვით, „ტვენტე" კარგი, შეკრული გუნდი ჩანს. მითხრეს, რომ სეზონის დაწყებამდე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელით აპირებენ გაძლიერებას. ჩემი ყოფილი თანაგუნდელი რამზი უკვე ხვალიდან შემოგვიერთდება. წინა ჩემპიონატში „ტვენტეს" ჩავარდნა ჰქონდა, რაც ახლანდელ გუნდზე, ვფიქრობ, არ იმოქმედებს. უეფას საგზურის გარდა ქვეყნის თასისთვისაც ვაპირებთ ბრძოლას. სხვათა შორის, სამი წლის წინ „ტვენტემ" თასი პსვ-ს მოუგო.

— „ტვენტეში" ის თუ ახსოვთ, „დინამოს" პირველი მეტოქე საერთაშორისო სარბიელზე სწორედ ეს გუნდი რომ იყო?

— კი, როგორ არა. პრეზენტაციისას ეს ამბავი რამდენჯერმე გაიხსენეს. გახოკიძე იმ გუნდის ფეხბურთელი იყო, რომელსაც 1972 წელს საერთაშორისო დებიუტი ჩვენთან ჰქონდაო.

— იმ შემადგენლობიდან დღეს თუ მუშაობს ვინმე გუნდში?

— ეს მეც ვიკითხე. მაშინდელი გუნდიდან ახლანდელ „ტვენტეში" არავინ დარჩენილა.

— სათამაშო პოზიციის შეცვლას ხომ არ გიპირებენ ახალ გუნდში?

— მწვრთნელს ამის შესახებ ვესაუბრე. მითხრა, ნახევარდაცვის ცენტრში თამაშზე რა აზრის ხარო. ვუპასუხე, სადაც დაგჭირდებით, იმ პოზიციაზე ვითამაშებ-მეთქი. ვნახოთ, თუ შუაში გამოვადგები გუნდს, რა პრობლემაა. ჩემი შესაძლებლობები მწვრთნელმა უნდა შეაფასოს.

— ახალი გუნდი იპოვე და თამაში ალბათ არ მოგაკლდება. საქართველოს ნაკრებს მწვრთნელი შეეცვალა და არც ის მგონია, ჩივაძე დააბრუნონ. თუ გამოგიძახეს ეროვნულ გუნდში, ველოდოთ შენს ჩამოსვლას?

— რა თქმა უნდა. მე პრეტენზიები ჩივაძესთან მქონდა, ტყუილა, ტურისტივით აღმა-დაღმა დავყავდი. ახლა კი, თუ გამომიძახეს, სიამოვნებით ჩამოვალ და ახალ მწვრთნელს დავუმტკიცებ, რომ ნაკრების ღირსი ვარ.

კოტა ინასარიძე

უვედეთი
XIII ტური
იურგორდენი 0:3 იორგრიტე

ქინქლაძე კვირის ბოლოდან



ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

უთხარით გიოს სიტყვა

გიორგი ქინქლაძე ჯერ ისევ დაუბინავებელია. რაც ინგლისური პირველი დივიზიონის „დერბისთან" კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი თქვა, დღემდე ეძებს ახალ კლუბს, მაგრამ არაფერი გამოსდის. ქინქლაძის სატრანსფერო საქმეებით დაკავებული პარის პროდომისისგან ახალი ამბები კი გვესმის ხოლმე, მაგრამ საქმე ქართველით ამა თუ იმ კლუბის დაინტერესებაზე შორს ჯერ არ წასულა. გიოს გადაბირების სურვილი აქვთ გერმანულ „ვოლფსბურგს" და „შტუტგარტს", ბერძნულ გრანდებს, სხვა ქვეყნების რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახელიან გუნდებსაც, მაგრამ ქინქლაძე ამჟამად ისევ უსაქმოდაა.

ამ დღეებში ქინქლაძით დაინტერესებულთა რიგებს, როგორც პროდომისმა გვითხრა, ქართველთა „ფრაიბურგიც" შემატება. გერმანელებს ჩვენიანის ამბავი მისთვის წვრილად გამოუკითხავთ, თუმც კონკრეტულიც არაფერი უთქვამთ. ფრაიბურგული ვარიანტის არც გიოს სჯერა.

— ფრაიბურგიდან რაიმე შემოთავაზება რომ მქონდეს, ამას იაშვილი მაცნობებდა. მისთვის კლუბის უფროსებს ჩემს შესახებ არაფერი უთქვამთ. ყოველ შემთხვევაში, აკუნას ორი დღის წინ ველაპარაკე — გვითხრა ქინქლაძემ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით — ჩემს ტრანსფერთან დაკავშირებით სიახლე ჯერ არაფერია.

— აგენტ პროდომისისგან ვიცით, რომ გერმანული „ვოლფსბურგი" და „შტუტგარტი" არიან შენით დაინტერესებულნი.

— პროდომისი იმ სააგენტოს თანამშრომელია, რომელიც ჩემს ტრანსფერზე მუშაობს. ეგ მეც ვიცი, რომ გერმანელებთან არის ჩემზე ინფორმაცია, მაგრამ კონკრეტულ საკითხებამდე საქმე ჯერ არ მისულა.

— იქნებ გერმანიაში თამაში არ გსურს?

— არა, ბუნდესლიგას ჩემი დასაწუნი არაფერი აქვს.

— მოსამზადებელი პერიოდი უკვე ყველამ დაიწყო. ზოგ ქვეყანაში სადაცაა, სეზონიც გაიხსნება. გვიანდება ტრანსფერი...

— დამიკავშირდნენ, ნორმალური პირობები შემომთავაზონ და დღესვე წავალ. რა ვქნა, თუ დღემდე კონკრეტული სიტყვა არავისგან მსმენია. ვნახოთ, კვირის ბოლომდეც მოვიცადოთ.

— თავადაც არ ვიცი, რა მოხდა. „დინამოს" ჩემი გადაბირება სურდა და გერმანულ კლუბშიც მპირდებოდნენ მოწყობას. ცალკე თურქი მენეჯერებიც შემეხმიანენ, მაგრამ იქ დაბრუნება თავად ვიუარე. ისინი უმაღლეს ლიგაში წლეულს გადასულ გუნდებში გასინჯვას მთავაზობდნენ, მაგრამ თავაზიანად მოვიშორე. აღმადაღმა წოწიალი და ნერვების შლა, დროის უქმად დაკარგვა ხეირს არ მომიტანდა.

მერე არც „დინამო" შემხმიანებია, გერმანულ ვარიანტზეც ხელი ჩავიქნიე, მივხვდი, წლეულს არაფერი გამოვიდოდა და გაურკვევლობას ისევ „ლოკომოტივი" ვარჩიე.

— „ლოკომოტივის" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის კლუბში დატოვება რევაზ არველაძემ ხომ არ დაიჟინა?

— ჩვენ ვისაუბრეთ. მწვრთნელი ხელს არ მიშლიდა, თუ კონკრეტული წინადადება გექნება, წადიო, მაგრამ ყველა იმედი გადამეწურა და რევაზ არველაძეს დავუჯერე. შეკრებაზე კარგად მოვემზადები, მომავალ სატრანსფერო სეზონამდე „ლოკომოტივში" ვითამაშებ და მერე მწვრთნელიც შემაწევს სიტყვას.

— თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, მაშინ სირაძის ტრანსფერი თურქული „ერზურუმის" და „ლოკომოტივის" ხელშეკრულებამ შეაფერხა. შენი სამომავლო სატრანსფერო თანხის ნახევარი, კონტრაქტის თანახმად, თითქოს თურქებს ეკუთვნით. ფულის სხვისთვის გაყოფა კი, დაგვეთანხმები, არც ერთ კლუბს არ ეჭაშნიკება.

— მსგავსი ხმები ჩემამდეც მოვიდა, აკაკი ჩხაიძესაც ველაპარაკე, მაგრამ პრეზიდენტმა დამარწმუნა, თურქებთან მსგავსი ხელშეკრულება არ გაგვიფორმებიაო. „ერზურუმთან" კონტრაქტის ვადა რა ხანია, ამოიწურა, „ლოკომოტივთან" კი კიდევ ერთწლიანი ხელშეკრულება მაკავშირებს.

— თურქულ კლუბთან თავის დროზე გაფორმებულ კონტრაქტში რამე განსაკუთრებული პუნქტი ხომ არ იყო, რაც „ერზურუმს" სირაძის ტრანსფერში გარკვეულ უფლებებს მიანიჭებდა?

— სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცი, იმ კონტრაქტში რა ეწერა. მაშინ 15 წლის ბიჭი ვიყავი, უცხოურ კლუბში გადასვლის შანსი ისე მომეცა, საქართველოს ჩემპიონტაში არც მითამაშია. წინ ფურცელი დამიდეს და მეც დაუფიქრებლად ხელი მოვაწერე.

— შენთვის თურქეთში დარჩენა ხომ არ აჯობებდა. მართალია, იქ ფარმ-კლუბში თამაშობდი, მაგრამ ადრე თუ გვიან შანსი მაინც მოგეცემოდა.

— „ერზურუმიდან" წამოსვლა კლუბის ფინანსურმა გასაჭირმა გადამაწყვეტინა, თორემ თავიდან ჩინებული პირობები იყო. მერე მწვრთნელთა უთავბოლო ცვლა დაიწყო. ორიოდ წელიწადში ათამდე სპეციალისტის ხელში გავიარე. ყველაზე მეტად სერბ სტანისლავ კარაჩის წასვლამ დამწყვიტა გული. თავის დროზე ის „ობილიჩის" თავკაცი იყო, სხვათა შორის, ივო შუშაკის მეგობარიცაა. ერთი კვირის მოსული იყო და ძირითად გუნდში ამიყვანა, მომავალი მატჩისთვის მამზადებდა, მაგრამ... კლუბის თავკაცებმა მწვრთნელს კატეგორიულად მოსთხოვეს, გურჯი არ ათამაშოო. იქაური წესებით, ფარმკლუბიდან აყვანილი უცხოელის თამაშის საფასურად ფედერაციის სასარგებლოდ 50 ათასი იყო გადასახდელი. მთავარ გუნდში ხუთი უცხოელი უკვე ირიცხებოდა, მე მეექვსე ვიყავი და ესეც გადასახდელი იყო. ზედმეტი 50 ათასი კი არა, კლუბი ხელფასებს ვერ ისტუმრებდა. კარაჩმა სულ ცოფები ყარა, მაგრამ ვერაფერს გახდა.

მერე მწვრთნელი ეცადა, იქაურობისთვის გაეერიდებინე. კლუბის მალულად ფარმკლუბის ერთ-ერთ თამაშზე მენეჯერი ჩამოიყვანა. იმ თამაშში ორი გოლი შევაგდე და იტალიური „პერუჯას" ვარიანტიც მაშინ გაჩნდა. თუმც იტალიამდე ვინ მიგიშვა, მალულად წასვლა კი აღარ გამოვიდა და „ერზურუმის" წვალებას კიდევ კარგა ხანს ვუყურე.

— ფაქტია, ჯერჯერობით შენთვის არაფერი იცვლება. მოდი, ცაკარიასის ან არველაძის „ლოკომოტივი" შეადარე.

— რომ ვუკვირდები, ტაქტიკური სქემა, ფაქტობრივად, ერთნაირია. ორივე 3-5-2-ს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ მე არველაძესთან მუშაობა უფრო მაინტერესებს. ცაკარიასი ფლანგურ შეტევებს და საჯარიმოში მაღალ ჩაწოდებებს გვაძალებდა, არველაძე კი უფრო ორგანიზებული და გაზრებული თამაშის მიმდევარია. ის გაცილებით მრავალმხრივ შეტევას და სწრაფ თამაშს ანიჭებს უპირატესობას.

— არველაძის გუნდში რა პოზიციაზე ითამაშებ?

— მწვრთნელი მე და ბურნაძეს ცენტრში თამაშს გვავალებს. ჩვენს უკან ერთი საყრდენი იქნება, ორიც ფლანგებიდან შეკვეშველება. ბოლო საკონტროლო მატჩის მეორე ტაიმი სულაც ფორვარდად მათამაშეს. მე მზად ვარ, იქ ვითამაშო, სადაც მწვრთნელები მიმითითებენ, მაგრამ მგონია, რომ ჩემი ადგილი მოედნის ცენტრშია.

მამუკა კვანტალიანი

იცოდე შენი კონტრაქტი!

დავით სირაძე დაკარგულ შანსზე

სულ რაღაც ორიოდ კვირის წინ დავით სირაძის კარიერაში ახალი პერსპექტივა გაჩნდა. რეინიგზელთა ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს უცხოური, ჯერ-ჯერობით კი გერმანული კლუბის ვარიანტს სთავაზობდნენ. აქეთ ივო შუშაკმა მოიწადინა მისი გადაბირება და რეინიგზის „თლა უფროსს" „დინამოს" დირექტორები მიუგზავნა, ეგ ბიჭი დაგვითმეთო.

საბოლოოდ ორივე ვარიანტი ჩაიშალა, ლოდინით შებეზრებული და გაწბილებული სირაძეც, სხვა საშველი რომ ვერ ნახა, „ლოკომოტივის" ახალი თავკაცის, რევაზ არველაძის სიტყვას დაჰყაბულდა, გუნდში დარჩა და პასპორტიც კლუბს ჩააბარა.

დავით სირაძე გუშინ რედაქციაში ვიწვიეთ სასაუბროდ. იმედგაცრუება თითქოს არ ეტყობა, მაგრამ ფაქტია, მომხდარს მაინც განიცდის. თბილისში დარჩენის ნამდვილ მიზეზსაც დაეძებს, მაგრამ ჯერ კონკრეტულად ვერაფერისთვის მიუგნია



მაშინ ფოლადაძეების ფოტო

ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

დავით სირაძე ლოკომოტიველად დარჩა

ფოთში ჯუნგლია

სოსო მაინც პოლხოფილია

ფოთის „კოლხეთის" თავკაცი სოსო ფილია გუშინ ოფიციალურად გადადგა. ფილია ბოლო დროს კლუბის ფინანსურ გასაჭირსა და გადადგომაზე ღიად ლაპარაკობდა. უეჭველია, მწვრთნელის გადაწყვეტილებაზე ნანატრი ბულგარული შეკრების ჩაშლამაც იმოქმედა. მისი თქმით, საახალსეზონოდ ფოთში კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება შეუძლებელია და უმიზნობას გაცლა უჯობს.

„კოლხეთიდან" წასულმა ფილიამ ახალგაზრდებთან მუშაობის სურვილი გამოთქვა და სავარაუდოდ მალე „კოლხეთი 2"-საც ჩაიბარებს. ფილიას მისი თანაშემწეები ნუგზარ მიქაბერიძე და მამუკა მიქავაც მიჰყვნენ და ფარმკლუბშიც ისინი დაეხმარებიან.

„კოლხეთში" გუშინვე ახალი მთავარი მწვრთნელი დაინიშნა. კლუბის თავკაცობამ სოსო ფილიას სავარძელში ჯუნგლი ტყეებუჩავა ჩასვა, ვისაც ფილია მეათე ჩემპიონატშიც შეუცვლია. წელიწადნახევრიანი პირველკაცობის შემდეგ ტყებუჩავამ ისევ ფილიას დაუთმო ადგილი და კლუბში გუნდის უფროსად მუშაობდა.

ტყებუჩავას „კოლხეთის" გაწვრთნაში ორი ყოფილი ფაზისელი, ფორვარდი დავით მახარაძე და მეკარე მამუკა გვასალია დაეხმარებიან.

მამუკა კვანტალიანი



ბადრი ჯიმშელაძის ფოტო

ალეკო ფოლადაძეების ფოტო

ფოთში ისევ როკია: ჯუნგლი ტყებუჩავა მოვიდა, სოსო ფილია წავიდა

ვავა ჩქიმი გაჭირება

იწვალეს მეგრელებმა, იწვალეს და გურულებს დარჩათ ვიში ლიგა

ზუგდიდის „ოდიში“ უმაღლესი ლიგიდან მეათე ჩემპიონატში გავარდა. იქაური ქომაგების საამაყო კლუბი პრეზიდენტ ნანავას გაუჩინარებამ და ფინანსურმა სიდუხჭირემ შეიწირა. მას აქეთ ზუგდიდელებს უმაღლესლიგური ფეხბურთის გემო დაავიწყდათ. თითქოს ოცნება წლეულს აიხდინეს, „ოდიშის“ დაკარგული „ლაზიკამ“ იპოვა. გუნდმა, რომელსაც ბევრი ამქვეყნიური სიკეთე აკლდა, მაგრამ ყველა გაჭირვებას გაუძლო. ფეხბურთელები ხელფასის მოთხოვნით ერთი ხანობა გაფიცულებიც იყვნენ, მაგრამ უმაღლეს ლიგას მაინც უწიეს.

„ლაზიკას“ პრეზიდენტი გავროშ ჯიქია ბოლო წუთამდე იმედოვნებდა, ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდება, მხარში ამომიდგება და გუნდის შენახვაში შემეშველებაო, მაგრამ „ლაზიკას“ პატრონობა არავინ ისურვა.

ჰოდა, გუშინდლიდან ზუგდიდელ გულშემატკივრებს ისევ პირველი ლიგა შერჩათ ხელთ. „ლაზიკა“ დედაქალაქურ „სპარტაკს“ შეუერთდა, ხელშეკრულება ორივე მხრიდან ხელმოწერილია და ფედერაციაშიც უკვე წარადგინეს.

ზუგდიდელი ქომაგებისთვის დიდი ვერაფერი შედავათია, უმაღლეს ლიგაში „სპარტაკ-ლაზიკა“ რომ ითამაშებს. ყველამ იცის, რომ ერთი წლის შემდეგ იმ გაერთიანებიდან მხოლოდ „სპარტაკი“ დარჩება, ანაც ზუგდიდელებს რა ხეირი, როცა „სპარტაკ-ლაზიკა“ დედაქალაქში ითამაშებს საშინაო მატჩებს და გუნდში, ალბათ, „ლაზიკას“ არც ერთი ფეხბურთელი არ იქნება.

ერთი სიტყვით, ზუგდიდი ისევ უმაღლესი ლიგის გარეშე დარჩა. თავისებური ხიბლით, ჟინით და ენერგიულობით გამორჩეული მეგრული საფეხბურთო სკოლა ნელ-ნელა გაჭირვებამ გამოხრა. ვინ იცის, ზუგდიდს თუ სამეგრელოს სხვა რაიონებს როდის მიეცემათ შანსი, უმაღლეს ლიგაში გუნდი იყოლიონ. მათ ხომ რეგიონულ ჩემპიონატში მონაწილეობაც კი მძიმე ტვირთად აწვებათ.

ახალი გაერთიანების თაობაზე ორივე კლუბის თავკაცებს შევეხმიანეთ. „ლაზიკას“ პრეზიდენტმა *გავროშ ჯიქიამ* ნაღვლიანად გაგვიმხილა ყველაფერი, ხოლო „სპარტაკის“ თავკაცმა *როლანდ ჩხაიძემ* გაერთიანების შესახებ ცნობა არ უარყო, მაგრამ ესეც თქვა, ბოლომდე ყველაფერი არ გარკვეულაო. „სპარტაკის“ უმაღლესლიგელობას ადრეც წინასწარმეტყველებდნენ. მას შემდეგ, რაც გიგლა იმნაძის გუნდმა პირველ ლიგაში საწადელი ვერ აისრულა, ჯერ „მცხეთასთან“ მოლაპარაკებებზე დაირხა ხმები, მერე კი ოზურგეთის „მერცხალიც“ ახსენეს.



ზურაბ ფულეთაძის ფოტო

როლანდ ჩხაიძე

გავროშ ჯიქია, „ლაზიკას“ პრეზიდენტი:

— გაჭირვებას ვერსად გავექცევით. ბოლო იმედიც რომ გადამეწურა, მერეღა მივიღე პირადად ჩემთვის ძნელად შესაგუებელი გადაწყვეტილება. უმაღლეს ლიგაში გუნდის შენახვა ჩემს ძალებს აღემატებოდა. სამარცხვინო და სამადლო ყოფას კი ისევ პირველ ლიგაში თამაში ვარჩიე.

გუნდს შევინარჩუნებ, მით უფრო, რომ მწვრთნელი ბესიკ შეროზიაც რჩება. არც ავტობუსი, არც უმაღლესისთვის სასურველი ფეხბურთელები, კიდევ მრავალი პრობლემა იყო დაგროვილი. დახმარების მსურველი კი ზუგდიდში არავინ გამოჩნდა.

— **ადგილის სანაცვლოდ „ლაზიკას“ რამით თუ დაეხმარებიან, რაც გუნდს გარვეულწილად შეღავათს მისცემს და სამომავლოდ წაადგება?**

— ამაზე იყო ლაპარაკი. ფედერაციაში დავალიანება გვქონდა დასაფარი და იმის გადახდაში შეგვეშველებიან. 10 დღეში „ლაზიკა“ შეკრებაზე გაემგზავრება ქობულეთში, სპორტული ინვენტარითაც მოგვამარაგებენ და ისევ უმაღლეს ლიგაში მოსახვედრად ვიბრძოლებთ. იქნებ ერთი წლის შემდეგ ჩვენთვის ვითარება სასიკეთოდ შეიცვალოს და ზუგდიდმაც ფეხბურთით გაიხაროს.

როლანდ ჩხაიძე, „სპარტაკის“ პრეზიდენტი:

— ხელშეკრულება მართლაც არსებობს, მაგრამ „დინამოსთან“ პირველი ტურის მატჩს რომ ვითამაშებთ, უმაღლესლიგელობას საბოლოოდ მაშინ ვირწმუნებ.

„სპარტაკი“ ურიგო გუნდი ნამდვილად არ იქნება. ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია, 18 ივნისიდან ვარჯიშობენ, 6 ივლისს კი ლაგოდეხში წავიდნენ შეკრებაზე. „მერცხალიდან“ დოლიძე შევიმატეთ, „მილანიდან“ კი ეგაძე. კახელებთან მედოევის თაობაზეც ვაპირებთ დალაპარაკებას. გვსურს, „დინამო 2“-დან ბორის შელია გადავიბიროთ. ალბათ „ლაზიკას“ ორ მოთამაშესაც ჩამოვიყვანთ და განაკეთები უშუალოდ უმაღლეს ლიგაში შეგვიფასდება.

მამუკა კვანტალიანი

ტორპედომ დროს გაუსწრო

საზღვარი საზღვარია

კვირას ქუთაისის „ტორპედომ“ ბარგი შეკრა და ბულგარეთის კურორტ ალბენას მიაშურა. ავტობუსით მგზავრობას ორ დღეზე მეტი დასჭირდა, თუმც რიონისპირელებმა მაინც გათვალისწინებულზე ადრე ჩაალწიეს ბულგარეთის საზღვრამდე და. პრობლემებიც აქ გაჩნდა. ბულგარელმა მესაზღვრეებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: სანამ 8 ივლისი არ გათენდება, ქვეყანაში ვერ შეგიშვებთო.

რას გააწყობდნენ, როცა ტორპედოელებს ბულგარეთში შესვლის უფლება სწორედ 8 ივლისიდან ჰქონდათ.

— სხვა რა გზა იყო. სანამ ღამის 12 საათი არ შესრულდა, საზღვარზე ვიყურყუტეთ. ამის გამო ალბენაში დილის ხუთ საათზე ჩამოვედით — გვითხრა „ტორპედოს“ თავკაცმა სოსო ფრუიძემ, რომელსაც ბულგარეთში დავუკავშირდით.

საქართველოს მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „დობრუჯაში“ დაბინავდნენ. ეს სასტუმრო ალბენას ცენტრში, ზღვიდან 250 მეტრის მოშორებით მდებარეობს.

ფრუიძის განკარგულებაში 22 ფეხბურთელია. ისინი პირველ კვირას დღეში სამჯერ ივარჯიშებენ. ამხანაგური მატჩები კი 12, 15, 17 და 19 ივლისსა დაგეგმილი. როგორც ადრე გაუწყეთ, ქუთათურები ბულგარულ და რუმინულ კლუბებს შეხვდებიან.

— რამდენიმე საათის ჩამოსულები ვართ, მაგრამ რაც ვნახეთ, ძალიან კარგი პირობებია. ამინდიც ნორმალურია და იმედი მაქვს, ახალი სეზონისთვის სერიოზულად მოვემზადებით — გვითხრა სოსო ფრუიძემ.

ზურაბ ფულეთაძის ფოტო

ძახა ზალამბერიძე

პირველი ტური

16 აგვისტო, შაბათი
მეტალურგი—ვიტ ჯორჯია მც.
ჩიხურა—ლაზიკა
გორდა—გურია

17 აგვისტო, კვირა
ქობულეთი—ლოკომოტივი 2

18 აგვისტო, ორშაბათი
სამგურალი—ოლიმპი
მილანი—დინამო 2
თსუ—ცხინვალი
ამერი—ივერია

მეორე ტური

24 აგვისტო, კვირა
ლოკომოტივი 2—ოლიმპი
გურია—მილანი
ივერია—ჩიხურა
ცხინვალი—ამერი

25 აგვისტო, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია მც.—სამგურალი
ლაზიკა—გორდა
ქობულეთი—თსუ
დინამო 2—მეტალურგი

მესამე ტური

1 სექტემბერი, ორშაბათი
ამერი—ქობულეთი
ჩიხურა—ცხინვალი
გორდა—ივერია
ოლიმპი—ვიტ ჯორჯია მც.
მილანი—ლა ზიკა

2 სექტემბერი, სამშაბათი
თსუ—ლოკომოტივი 2
მეტალურგი—გურია
სამგურალი—დინამო 2

მეოთხე ტური

7 სექტემბერი, კვირა
თსუ—ამერი
დინამო 2—ოლიმპი
გურია—სამგურალი
ივერია—მილანი
ლაზიკა—მეტალურგი

8 სექტემბერი, ორშაბათი
ცხინვალი—გორდა
ქობულეთი—ჩიხურა
ლოკომოტივი 2—ვიტ ჯორჯია მც.

მეხუთე ტური

14 სექტემბერი, კვირა
ამერი—ლოკომოტივი 2
ჩიხურა—თსუ
გორდა—ქობულეთი
მილანი—ცხინვალი
მეტალურგი—ივერია
სამგურალი—ლაზიკა

15 სექტემბერი, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია მც.—დინამო 2
ოლიმპი—გურია

მეექვსე ტური

20 სექტემბერი, შაბათი
გურია—ვიტ ჯორჯია მც.
ცხინვალი—მეტალურგი

21 სექტემბერი, კვირა
ქობულეთი—მილანი
ივერია—სამგურალი
ამერი—ჩიხურა
ლაზიკა—ოლიმპი

22 სექტემბერი, ორშაბათი
ლოკომოტივი 2—დინამო2
თსუ—გორდა

მეშვიდე ტური

27 სექტემბერი, შაბათი
მილანი—თსუ
მეტალურგი—ქობულეთი
ოლიმპი—ივერია

28 სექტემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია—ლაზიკა
გორდა—ამერი
დინამო 2—გურია
სამგურალი—ცხინვალი
ჩიხურა—ლოკომოტივი 2

მერვე ტური

6 ოქტომბერი, ორშაბათი
ლოკომოტივი 2 —გურია
ივერია—ვიტ ჯორჯია მც.
ცხინვალი—ოლიმპი
ქობულეთი—სამგურალი
ამერი—მილანი
ჩიხურა—გორდა

7 ოქტომბერი, სამშაბათი
ლაზიკა—დინამო 2
თსუ—მეტალურგი

მეცხრე ტური

12 ოქტომბერი, კვირა
მეტალურგი—ამერი
გორდა—ლოკომოტივი 2
ვიტ ჯორჯია მც.—ცხინვალი
დინამო 2—ივერია
გურია—ლაზიკა
მილანი—ჩიხურა
სამგურალი—თსუ
ოლიმპი—ქობულეთი

მეათე ტური

19 ოქტომბერი, კვირა
ივერია—გურია
ჩიხურა—მეტალურგი
გორდა—მილანი
თსუ—ოლიმპი
ამერი—სამგურალი

20 ოქტომბერი, ორშაბათი
ცხინვალი—დინამო 2
ქობულეთი—ვიტ ჯორჯია მც.
ლოკომოტივი 2—ლაზიკა

მეთერთმეტე ტური

28 ოქტომბერი, სამშაბათი
მილანი—ლოკომოტივი 2
მეტალურგი—გორდა
სამგურალი—ჩიხურა
ოლიმპი—ამერი
ვიტ ჯორჯია მც.—თსუ
დინამო 2—ქობულეთი
გურია—ცხინვალი
ლაზიკა—ივერია

მეთორმეტე ტური

3 ნოემბერი, ორშაბათი
ლოკომოტივი 2—ივერია
ცხინვალი—ლაზიკა
ქობულეთი—გურია
თსუ—დინამო 2
ჩიხურა—ოლიმპი
გორდა—სამგურალი
მილანი—მეტალურგი
ამერი—ვიტ ჯორჯია მც.

მეცამეტე ტური

9 ნოემბერი, კვირა
სამგურალი—მილანი
ივერია—ცხინვალი

10 ნოემბერი, ორშაბათი
ოლიმპი—გორდა
გურია—თსუ

11 ნოემბერი, სამშაბათი
მეტალურგი—ლოკომოტივი 2
დინამო 2—ამერი
ვიტ ჯორჯია მც.—ჩიხურა
ლაზიკა—ქობულეთი

მეთოთხმეტე ტური

18 ნოემბერი, სამშაბათი
ლოკომოტივი 2—ცხინვალი
ქობულეთი—ივერია
თსუ—ლაზიკა
ამერი—გურია
ჩიხურა—დინამო 2
გორდა—ვიტ ჯორჯია მც.
მილანი—ოლიმპი
მეტალურგი—სამგურალი

მეთხუთმეტე ტური

22 ნოემბერი, შაბათი
გურია—ჩიხურა
ცხინვალი—ქობულეთი

23 ნოემბერი, კვირა
ოლიმპი—მეტალურგი
სამგურალი—ლოკომოტივი 2
დინამო 2—გორდა
ლაზიკა—ამერი
ივერია—თსუ
ვიტ ჯორჯია მც.—მილანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კივუ რომაში მიდის

„რომა“ და „აიაქსი“ სატრანსფერო თანხაზე შეთანხმებულან, ასე რომ, კრისტიან კივუს საქმე მოგვარებულია. რომაელთა სპორტული დირექტორი, ფრანკო ბალდინი ამსტერდამში 17 მილიონ ევროზე გასარიგებლად ჩაფრინდა და თანხის სამ ეტაპად გადახდაზე დაიყაბულა პარტნიორი მხარე

კივუ 23 წლის რუმინელი მცველია, რომელიც იტალიის დედაქალაქში შესაძლოა 2008 წლამდე დარჩეს და წელიწადში 1,7 მილიონი ევრო მიიღოს. მოგეხსენებათ, „რომა“ ამ მოთამაშით მას მერე დაინტერესდა, რაც ბოლო ხანს ორი კარგი ვარიანტი გაუშვა ხელიდან. ჯერ იყო და, „კიევოს“ სტოპერი, ნიკოლა ლეგროტალიე დაუსხლტა („იუვენტუსში“ გადავიდა), მერე კი ბრაზილიელმა ლუსიომ დაიჭირა შორს რომში გადასვლა.

რაც შეეხება ჭორებს, როგორც ამბობენ, „რომას“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო, მადრიდის „რეალიდან“ ფერნანდო იეროს გაშვებამ გამოაცოცხლა და 34 წლის ვეტერანი ესპანელის შეძენა მოეპრიანა, თუმცა ამ ამბავში მაინც რაღაც დაუჯერებელია: მართალია ოდესღაც კაპელო „რეალს“ ედგა სათავეში და იეროს კარგად იცნობს, მაგრამ არც თავად ფეხბურთელს უნდა სურდეს სიბერის ჟამს სერია A-ში თავის შეყოფა, მითუფრო, რომ თურმე ყატარში მრავალმილიონიან „უსაქმურობას“ ჰპირდებიან.

ზემოთ „კიევოს“ მცველი ლეგროტალიე ვახსენეთ. ის „იუვენტუსში“ გადავიდა, მისი თანაგუნდელი ლუსიანო კი ამიერიდან „ინტერში“ ითამაშებს — ვერონელებმა მილანელებთან, როგორც იქნა, გამონახეს საერთო ენა. კერძოდ, ჯერჯერობით, მომავალ ზაფხულამდე, ლუსიანო ნასესხების სტატუსით ითამაშებს „სან სიროზე“, მომავალ ზაფხულს კი, თუ ყველაფერი კარგად იქნა, ნამდვილი კონტრაქტი გაფორმდება. საპასუხოდ, „მფრინავი ვირების“ რიგებს მილანიდან სემიოლი და ალესანდრო პოტენცა შეემატნენ. შესაძლოა „კიევოს“ წევრი შეიქნეს 19 წლის ჩილელი მაურისიო პინილიაც, თუმცა აქ გარკვეული პრობლემები ჯერ კიდევ მოსაგვარებელია.

პაპუნა ძიდია

რენცო ულივიერი

მეშინია!

„ანკონას“ მწვრთნელად, ალბათ, რენცო ულივიერი დაინიშნება. მოგეხსენებათ, ეს პოსტი თითქოს კარლო მაცონესთვის იყო გამზადებული, მაგრამ ცნობილ სპეციალისტს მეზობელი ქალაქის, ასკოლის ქომაგთაგან მუქარის წერილები მიუვიდა და განზრახვაზე ხელი აიღო

„ყოველივემ ძალიან დამაღონა“ — განაცხადა მაცონემ, რომელიც რომაელია, მაგრამ ასკოლიში ცხოვრობს. ასკოლის და ანკონას კი მეზობლობის გამო მტრად მოკიდებული გუნდები ჰყავთ.

ერთი სიტყვით, „ანკონას“ კვლავ არა ჰყავს მწვრთნელი, ჯიჯი სიმონის მოხსნის შემდეგ თანამდებობა არავის დაუკავებია.

„სამწუხაროა, მაცონეს ამბავი რომ არ გამოვიდა. მესმის მისი და მადლობას ვუხდი, რომ ჩვენთან სურდა მუშაობის დაწყება. იცოდა, რომ სერიოზული გეგმები გვაქვს, მზად იყო ამ გეგმებს შესჭიდებოდა, მაგრამ, როგორც ხედავთ, გარემოებებმა არ შეუწყო ხელი. 48 საათიც დავიცადოთ. ვცდი, ამ დროში შესაფერისი კანდიდატურა შევარჩიო“ — განაცხადა „ანკონას“ პრეზიდენტმა ერმანო პიერონიმ, რომელმაც, როგორც ამბობენ, სინამდვილეში ძალიანაც კარგად იცოდა ვის კანდიდატურას შესთავაზებდა გულშემატკივარს.

რენცო ულივიერი სულ ადრე „პარმაში“ მუშაობდა, შემდეგ კი „ტორინოს“ ედგა სათავეში. ტურინიდან ულივიერი [illegible].

„ანკონას“ [illegible] მწვრთნელობის სხვა კანდიდატები [illegible] ჯიჯი დე კანიო, ბორტოლო მუტი და ჯანკარლო კამოლეზე.

პაპუნა ძიდია

შავი კაჭკაჭი მილანში

გადამალეთ ბრჭყვიალა ნივთები

მას მერე, რაც „ინტერმა“ ბრაზილიელი ლუსიანო გადაიბირა, კიდევ ერთ არაევროპელს მიადგა და მისი გადაყვანაც გაჩარხა — მომდევნო სამ სეზონს სენეგალელი ხალილუ ფადიგა მილანურ კლუბში გაატარებს.

ფადიგამ, ვინც ამპლუით მარცხენა გარემარბია, ევროპული ვოიაჟი „პარი სენ ჟერმენში“ დაიწყო, თუმცა აღიარებას ბელგიურ „ლიეჟსა“ და „ბრიუგეში“ თამაშისას ეღირსა. საყოველთაო ყურადღების არეალში კი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატისას მოექცა, როცა კორეაში საიუველირო მაღაზიიდან რაღაც-რაღაცეები მოიპარა.

მილანი ძვირფასი მაღაზიებით განთქმული ქალაქია, „ინტერის“ უფროსობა კი ალბათ იმედოვნებს, რომ ფადიგამ კორეული გაკვეთილიდან ჭკუა ისწავლა.

„ინტერამდე“ ფადიგა ფრანგულ „ოსერში“ თამაშობდა.

კოტე ძიძელია



ორი კრისი ერთ გენუაში

„ჩემი მიზანი ნაკრებში დაბრუნებაა — განაცხადა კრისტიანო დონიმ — მახსოვს, პირველად იმიტომ გამომიძახეს, რომ მეცა და ჩემი მაშინდელი გუნდიც, „ატალანტაც“, ძალიან კარგად ვთამაშობდით. ამიერიდან მე „სამპდორიას“ წევრი ვარ და ისევ კარგად თამაშს ვაპირებ. „სამპდორიას“ წარმატება ჩემს პირად მიზნებსაც შეუწყობს ხელს“.

საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო წლის განმავლობაში დონი და მისი „ატალანტა“ იმდენად ცუდად გამოდიოდნენ, რომ ფეხბურთელი „სკუადრა აძურას“ ძირითად შემადგენლობაში აღარც გამოჩენილა.

„გენუაში გადმოსვლით ბედნიერი ვარ — განაგრძო ოდინდელმა ბრეშელმა — ამ კლუბში კარგად თამაშის სტიმული, ვგონებ, საკმარისზე მ[illegible] თავად გუნდიც [illegible] „ატალანტას“ სერია A-დან გავარდნის შემდეგ თავის გამოჩენის წყურვილი მკლავს. უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, „სამპდორიამ“ სერია A-ში ადგილის შესანარჩუნებლად უნდა იბრძოლოს, თუმცა ამის ზევითაც შეიძლება სხვადასხვა მიზნების დასახვა“.

აღსანიშნავია, რომ „სამპდორიამ“ „იუვენტუსისგან“ კიდევ ერთი ნახევარმცველი და კიდევ ერთი კრისტიანო, ძენონი იესხა.

პაპუნა ძიდია

მილანის სტილისტი მშვიდადაა

„მილანის“ თავკაცი, კარლო ანჩელოტი დარწმუნებულია, რომ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ უფრო თავისუფლად იგრძნობს თავს

„ამ სეზონს უფრო მშვიდად შევეგებები, — განუცხადა ევროტრიუმფატორმა „კორიერე დელა სერას“ — შარშან ამ დროს კი ვგრძნობდი, რომ სხვა გზა არ მქონდა, რომელიმე ჯილდო უნდა მომეპოვებინა. ახლა თითქოს გზაც გასწორდა და მეც უპირატესობა მაქვს“.

„...სტილს არ შევცვლით. ძირითად აქცენტს ისევ მაღალი დონის ფეხბურთელებზე გავაკეთებთ...“

„...წინა სეზონში იყო შეხვედრები, რომლებიც განსაკუთრებული ფეხბურთის წყალობით არ მოგვიგია, თუმცა, ბუნებრივია, „მილანი“ საუკეთესო მაშინაა, როდესაც ყველა ვარსკვლავი გვყავს მოედანზე“.

„...ამ ზაფხულზე „იუვენტუსი“ ძლიერდება. მათი შენაძენებიდან ყველაზე საინტერესო სტეფან აპიაა, ხოლო იტალიის გარეთ, რასაკვირველია, დევიდ ბექემით გაძლიერებული „რეალისა“ უნდა ეშინოდეს ყველას. ოღონდ... მე, მაგალითად, „რეალისა“ მაშინ უფრო შემეშინდებოდა, მცველი რომ ეყიდა“.

პაპუნა ძიდია



მილიტორისტული ტრანსფერი

რეალი არგენტინულად შეიარაღდა

გაბრიელ მილიტოს მომდევნო ოთხი წელი „რეალის“ სადიდებლად მოუწევს ყვირილი

კიდევ ერთი სამეფო შენაძენი: არგენტინული „ინდეპენდიენტეს“ აწ უკვე ყოფილი კაპიტანი, 23 წლის გაბრიელ ალეხანდრო მილიტო მომდევნო 4 სეზონი მადრიდის „რეალის“ საიმედო მცველი იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კასტილიური კლუბი არა მარტო ჯადოსნური თავდასხმის ხაზის გაძლიერებას, არამედ თავისი საჯარიმოს მისადგომების გამყარებასაც ფრიად ცდილობს.

ფლორენტინო პერესის დირექციამ პატაგონიელში 4 მილიონი ევრო გადაიხადა.

მილიტო არგენტინის ნაკრებშიც შინაური კაცია, რამეთუ ადრეული ყრმობიდან მოყოლებული, საკუთარი ქვეყნის ეროვნული გუნდის ყველა ასაკის შემადგენლობაში უთამაშია.

ფეხბურთელი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ბურთაობის პერსპექტივით, ცხადია, აღფრთოვანებულია. „ასეთ დროს მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ — უკიდურესად ბედნიერი ვარ. შარშანდელ აპერტურაში გამარჯვების შემდეგ ჩავთვალე, რომ არგენტინულ ფეხბურთში ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე. ევროპაში კარიერის გაგრძელება მინდოდა და ახლა ისეთ გუნდში მიწევს თამაში, როგორიც მადრიდის „რეალია“ — თქვა გახარებულმა მილიტომ „რეალის“ საინტერნეტო ვებ-გვერდიდან.

მილიტო არა მარტო ტექნიკური ბურთაობითაა ცნობილი, მის საქებარ თვისებათა შორის ასახელებენ შეუპოვრობასა და გამარჯვებისკენ სწრაფვას. სწორედ მტკიცე ხასიათის წყალობით შეძლო 2000 წელს მუხლის უმძიმესი ტრამვის დაძლევა და დიდ ფეხბურთში წარმატებით დაბრუნება.

პატაგონიელი მცველით მარტო კასტილიელები არ ინტერესდებოდნენ. „შარშან „ლიდს“ უნდოდა ჩემთან ხელშეკრულების დადება, თუმცა მაშინ „ინდეპენდიენტეში“ დარჩენა ვარჩიე. შემდეგ იყო მარსელის „ოლიმპიკი“ და გერმანული „ბაიერი“. წლეულს ესპანური კლუბები — „სარაგოსა“ და მადრიდის „ატლეტიკო“ მიხმობდნენ“ — აღნიშნა უკვე რეალელმა მცველმა.

„სამეფო კლუბის“ სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ არგენტინელის შეძენის ფაქტი შემდეგნაირად შეაფასა: „ეს ტრანსფერი დაცვის ცენტრის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟსა და უსარგებლო დებატებს ბოლოს მოუღებს. მილიტო გუნდის ახალი სუნთქვაა“.

გაბრიელის ახალმა დამრიგებელმა კარლოს კეირუშმა „რეალის“ ჯერჯერობით ბოლო შენაძენის შესახებ ჟურნალისტებისგან შეიტყო. კეირუში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ბოლო წვრილმანი საკითხების მოსაგვარებლად ინგლისში იმყოფებოდა და მადრიდის „ბარახას“ აეროპორტში დაბრუნებულს ესპანური „მარკა“ ამ ცნობით შეეგება.

მოგვიანებით კი უკვე კარგად ინფორმირებულმა პორტუგალიელმა მილიტოს მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა: „მილიტო შესანიშნავი მცველია. ბურთის ფლობის მისეულ მანერას და უკანა ხაზზე ჩინებულ, სწრაფ თამაშს გამოვარჩევდი. მილიტო ფეხბურთელის სწორედ ის ტიპია, რომლის გუნდში მოყვანასაც ვვარაუდობდით და გამომდინარე აქედან, ტრანსფერით ძალიან კმაყოფილი ვარ“.



ოსკარ რუჯერიმ შეგირდი ყოფილ გუნდში გაუშვა

ისიც უნდა ვთქვათ, რომ გაბრიელის ყოფილი მწვრთნელი, „ინდეპენდიენტეს“ თავკაცი ოსკარ რუჯერიც ყოფილი რეალელია — 1986 წლის მექსიკის მუნდიალის ჩემპიონი. ახლა მილიტო სამედიცინო შემოწმებას გაივლის და 17 ივლისს „რეალის“ სრულუფლებიან წევრადაც წარდგება.

ლადო ხომერიკი

ბარსელონას რეალისტი მწვრთნელი ჰყავს

ფრანკ რაიკარდი აქსიომების გადასინჯვას აპირებს



ფრანკ რაიკარდი ოპტიმისტი კაცია. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელებს ციდან ვარსკვლავების ჩამოკრეფას არ ჰპირდება, მომავალ პრიმერაში ფარ-ხმლის დაყრას ნამდვილად არ აპირებს და თუ რას აპირებს, ამის თაობაზე „ბარსას“ დამრგებელს კატალონიური „სპორტი“ გაესაუბრა

— რა არის თქვენი მთავარი ამოცანა?

— ოთხეულში მოხვედრა, რაც ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას მოგვცემს.

— ესე იგი, „ბარსას“ ქომაგებს დიდ ჯილდოებს არ ჰპირდებით?

— ფეხბურთის კანონის მიხედვით, ახლად ჩამოყალიბებულ-შეთამაშებული გუნდი პირველ სეზონში ბევრი გამარჯვებით ვერ დაიტრაბახებს. „ბარსელონაში“ ძირეული ცვლილებები მოხდა და არ არის გამორიცხული, ამან თავდაპირველად ხელიც შეგვიშალოს, მაგრამ მე, ცხადია, ის მინდა, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა თავიანთი პროფესიონალიზმით საფეხბურთო აქსიომები თავდაყირა დააყენონ.

— ერთი თვის წინ წარმოიდგენდით, რომ „ბარსელონას“ მწვრთნელი გახდებოდით?

— ეს ჩემთვის საოცარი სიურპრიზი იყო. კატალონიელთა მიმართ ყოველთვის მქონდა სიმპათიები, თუმცა „ბარსელონას“ მწვრთნელობას თუ შემომთავაზებენ, ჯერჯერობით მაინც არ ველოდი. მინდა, ყველამ იცოდეს, რახან ასეთი საპასუხისმგებლო საქმე მანდეს, არანაირი დაბრკოლების წინაშე არ დავიხევ.

— ფრანკ რაიკარდი და შემტევი, ლამაზი ფეხბურთი განუყოფელი ცნებებია...

— მე მიყვარს სანახაობრივად მდიდარი, ფიესტასავით თამაში, თუმც ჩვენი გუნდის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, სანახაობასთან ერთად რაც შეიძლება მეტი მოგება გვჭირდება. შეეცდებით, „ბარსელონას“ ერთგული გულშემატკივარი ლამაზად მოგებული თამაშებით გავახაროთ.

— ახლა თქვენი გულშემატკივრების მთავარი საწუხარი პატრიკ კლუივერტის „ბარსაში“ დარჩენა-არდარჩენის საკითხია...

— მინდა, პატრიკს სერიოზულად მოველაპარაკო. კლუივერტი „ბარსელონასთვის“ ძლიერ საჭირო კაცია და მგონი, კატალონიაში არცთუ ურიგოდ გრძნობს თავს. ასეა თუ ისე, მისი გუნდში დარჩენის საკითხი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

— რიკელმე თუ გააგრძელებს „ბარსელონაში“ თამაშს?

— შანსი მასაც იგივე აქვს, როგორც ყველა სხვა ფეხბურთელს. ვნახავთ, სეზონთშორისის ამხანაგურ შეხვედრებში როგორ ითამაშებს. საბოლოო გადაწყვეტილებასაც ამის მიხედვით გამოვიტანთ.

— ფრანკ დე ბურმა რატომ დატოვა „ბარსელონა“?

— ფრანკი დიდი ფეხბურთელი და ჩემი კარგი მეგობარია. რაც შეეხება მისი გუნდიდან წასვლას, ეს გადაწყვეტილება „ბარსაში“ ჩემს მოსვლამდეა მიღებული. კატალონიაში ამჟამად დიდი ცვლილებების ხანაა.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება სპორტულ მედიასთან?

— შესანიშნავი. პრესასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა.

— საბოლოოდ თუ შეძლებთ „ბარსასგან“ ისეთი გუნდის შექმნას, რომელზეც ოცნებობთ?

— ვერ გეტყვით, რომ ძალიან მალე, მაგრამ გარკვეული ხნის შემდეგ „ბარსელონა“ კვლავინდებურად ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი გრანდი იქნება. მჯერა, გუნდში ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელების მოსვლით ამას აუცილებლად მივაღწევთ.



იაფი მართლა იაფი არ გეგონოთ

კლუივერტმა კვირაში £100 000 მოითხოვა

პატრიკ კლუივერტს „ბარსელონამ“ კონტრაქტის პირობები რომ დაურღვია, ძველი ამბავია. ამის გამო ნებისმიერ კლუბს შეუძლია, ჰოლანდიელი ფორვარდი სულ რაღაც 1,2 მილიონ გირვანქად შეიძინოს. ბუნებრივია, ასეთ დაბალ ფასში კლუივერტის ხელში ჩაგდების მსურველები მრავლად გამოჩნდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად ინგლისური გუნდები აქტიურობენ და თავად „ბარსას“ ფორვარდიც თანახმაა, კარიერა პრემიერლიგაში განაგრძოს. ჰოლანდიელის გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედს“, „არსენალსა“ და „ნიუკასლ იუნაიტედს“ სურთ, თუმც, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჯერჯერობით მიზანთან ყველაზე ახლოს „ტოტენჰემია“.

ლონდონელები მზად არიან, კლუივერტს ოთხი წლის განმავლობაში კვირაში 75 ათასი გირვანქა უხადონ (ეს თანხა 15 ათასით აღემატება ჰოლანდიელის ხელფასს „ბარსელონაში“), მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ფეხბურთელს, ფაქტობრივად უფასოდ იგდებენ ხელში, იგი ანაზღაურების სახით კვირაში 100 ათას გირვანქას ითხოვს.

„ტოტენჰემთან“ დაკავშირებით კი კიდევ ერთი ფაქტია აღსანიშნავი. ლონდონელთა ვეტერანმა ფორვარდმა ლეს ფერდინანდმა განაცხადა, რომ მომავალი სეზონი მისთვის ბოლო იქნება, მაგრამ რომელ კლუბში აპირებს იგი კარიერის დასრულებას, ჯერჯერობით უცნობია. გადაწყვეტილია, რომ ფერდინანდი „ტოტენჰემს“ დატოვებს, ხოლო მის მსურველთა სიაში პრემიერლიგაში წლეულს დაბრუნებული „პორტსმუთი“ და „ლესტერიც“ არიან. გარდა ამისა, შავკანიანი ფეხბურთელის გადაბირება პირველ დივიზიონში გავარდნილ „ვესტ ჰემ იუნაიტედსაც“ სურს.

გიორგი კაკაბაძე

დაახლოებით ასეთი სურათია: ყატარელი შეიხების მზვერავები ევროპის კლუბთა ოფისების კარებთან ატუზულან. თუ რომელიმე დიდი ფეხბურთელის კარიერის დასრულების ამბავი შეიტყვეს, მყისვე თავის ქვეყანაში ეპატიჟებიან

მოდი, ძმაო

იეროს აგენტი ყურიდან ტელეფონს ვერ იშორებს

ყატარში ამჟამად რამდენიმე ცნობილი მოთამაშეა. იქაურ გუნდებში თამაშობენ და ასწავლიან. შტეფან ეფენბერგმა, მარიო ბასლერმა და ფრანკ ლებეფმა ცოტ-ცოტა არაბული თვითონაც ისწავლეს. შესაძლოა, მათ თომას ჰესლერი, გაბრიელ ბატისტუტა და ახლა უკვე ფერნანდო იეროც შეუერთდნენ.

იერო მადრიდის „რეალიდან" დაითხოვეს და ჯერ ისვენებს. მას არაერთი ესპანური კლუბი ეპატიჟება და მათ შორის „მალაგაც", რომლის დირექტორი მანოლო იერო ფერნანდოს ძმა გახლავთ.

სად წავა ყოფილი რეალელი? კარიერას დაასრულებს თუ ისევ მოედანს დაუბრუნდება? საქმე ასარჩევად აქვს. ამბობენ, რომ მავან ყატარელ შეიხს ესპანელისთვის 10 მილიონი ევრო შეუთავაზებია. თუ დათანხმდა, ამ ფულს ფერნანდო იერო ექვს თვეში მიიღებს. ფეხბურთელის აგენტ ზორან ვეკიჩის თქმით, მის კლიენტს უამრავი მსურველი ჰყავს. „დღეში ხან ოცი კაცი მირეკავს, ყურიდან ტელეფონი ვეღარ მომიშორებია" — თქვა ვეკიჩმა.

ვაჟა ხუციშვილი

უეფამ ევროპას ისრაელი დაურიგა

ებრაული კლუბები საერთაშორისო მატჩებში სტუმრებს შინ რომ ვერ მასპინძლობენ, ცნობილია. თითქმის ყოველდღე აღთქმულ მიწაზე ერთი ბომბი ფეთქდება. უეფაც შარს ერიდება და იქაურ გუნდებს სამასპინძლოდ ევროპის სხვადასხვა ქალაქებს თავად სთავაზობს.

ისრაელი ამ სეზონში ევროთასებზე ოთხ კლუბს გაიყვანს, აი, ეს ოთხეული: თელ ავივის „მაკაბი", ჰაიფას „მაკაბი", თელ ავივის „ჰაპოელი" და რამათ განის „ჰაპოელი".

ჩამოთვლილთაგან პირველი „მაკაბი" სლოვაკეთის ჩემპიონ „ზილინას" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე 6 აგვისტოს ბუდაპეშტში დაუხვდება.

თელ ავივის „ჰაპოელი" უეფას თასის საკვალიფიკაციო საშინაო მატჩს სომხურ „ბანანცთან" 14 აგვისტოს ამსტერდამში გამართავს. ჰაიფას „მაკაბი" თავის მომავალ მეტოქეს, ასევე უეფას თასზე, თურქეთის ქალაქ იზმირში 28 აგვისტოს მიიღებს, თასის მფლობელი რამათ განის „ჰაპოელი" კი — სლოვაკურ კოშიცეში ითამაშებს.

ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი სილვან შალომი და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გავრი ლევი მომავალ კვირას შვეიცარიაში უეფას ჩინოვნიკებს შეხვდებიან. მათ სურთ, რომ ფეხბურთი ისრაელში დაბრუნდეს და გუნდებმა ევროპის ქვეყნებში არ იწანწალონ.

ვაჟა ხუციშვილი

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 ტელ: 53-76-82 899 56-18-49



დმიტრი პიტერმანმა პროცენტები იცოტავა

მოგინდება ჩემი ფული

დედიკოს ბიჭუნა ჭირვეული გამოდგა

ესპანური „რასინგი" პრიმერადივიზიონიდან გავარდნას ბეწვზე გადაურჩა. პირველი წრის შემდეგ გუნდი ცხრილის ფსკერზე ყურყუტებდა, კლუბის სალარო კი გამოფხეკილი იყო.

მოგეხსენებათ, „რასინგის" აქციათა წილი შარშან იანვარში ოღესაში დაბადებულმა ამერიკელმა ბიზნესმენმა დიმიტრი პიტერმანმა იყიდა. მან სამწვრთნელო ლიცენზიაც აიღო და შესაბამისად გუნდის გაწვრთნაც ითავა. იმავდროულად აქციათა 24 პროცენტის მფლობელი პიტერმანი კლუბის დირექტორატმა პრეზიდენტად აირჩია. მოკლედ, ბიზნესმენმა ორი თანაშრომლობა შეითავსა.

ჰო, პიტერმანმა, კლუბის ფოტორეპორტიორიც მე უნდა ვიყო.

ფინანსურად მოღონიერებულმა „რასინგმა" მეორე წრეში თამაში შედარებით გამოასწორა და პრიმერადივიზიონში ადგილი შეინარჩუნა. პრეზიდენტს მადა გაეხსნა და კლუბის აქციათა პაკეტის სრული უმრავლესობის მოხელთება მოიწადინა. საამისოდ მას კიდევ 27 პროცენტის შეძენა სჭირდებოდა, რომელსაც ესპანელი საქმოსანი სანტიაგო დიასი ფლობს. დიასს პიტერმანი,ცხადია, შეევაჭრა, მაგრამ ესპანელმა არ დათმო. გაბრაზებულმა პრეზიდენტმა მას „დედიკოს ბიჭუნა, უნიჭო და ჭირვეული" უწოდა, ყველაზე მეტი აქციები ამ ლაწირაკს როგორ უნდა ჰქონდესო.

დმიტრი პიტერმანმა იწყინა და პოსტიდან გადადგა, პოსტს კი დროებით „დედიკოს ბიჭუნა" დაიკავებს. ამერიკელი მწვრთნელობას გააგრძელებს და ინტერტოტოს თასზე საპასუხო მატჩში „რასინგს" კვლავაც უთავკაცებს.

ფული დაგჭირდება და ისევ ჩემთან მოხვალო, უთქვამს პიტერმანს დიასისთვის.

ვაჟა ხუციშვილი

აქეთ ტანგო, იქით სამბა

„ვილიარეალი" მომავალი სეზონიდან ფორვარდთა საინტერესო წყვილით შეუტევს. არგენტინელ მარტინ პალერმოს ბრაზილიელი სონი ანდერსონი შეუმეგობრდება.

საფრანგეთის ჩემპიონ „ლიონის" ყოფილ კაპიტანს „ვასკუ და გამაში", „მონაკოში", „მარსელსა" და „ბარსელონაში" უთამაშია. 1998-99 წლებში იგი პრიმერადივიზიონის ჩემპიონი გახდა. მაშინ რივალდოსთან ერთად იყო, მაგრამ ლუის ვან გაალის გადამკიდე ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა. ერთხელ რივალდომ მორიგი გოლის შემდეგ მაისურა გადაიძრო და თეთრზე შავად ნაწერი გამოაჩინა: „ლუის, ათამაშე სონი!" ვან გაალი გაჯიუტდა და ანდერსონი „ლიონმა" 17 მილიონ დოლარად შეიძინა.

1999 წლიდან 2003-ის ჩათვლით ბრაზილიელი ლიონელთა ჯილა იყო და ოთხ სეზონში 90-მდე გოლი გაიტანა.

32 წლის თავდამსხმელს მაისში ფრანგულ გუნდთან კონტრაქტი დაუმთავრდა და „ვილიარეალმა" მუქთად გადაიყვანა. სონი ანდერსონი ახალ კლუბში ორ წელიწადს გაატარებს.

ვაჟა ხუციშვილი

სონი ანდერსონი

ყატარი ტრუსიეთი შეიმოსა



ფილიპ ტრუსიე საეჭვო ქვეყნებს ვერ გასცდა

შეიხთა მადას საზღვარი არ აქვს. 2006 წელს ყატარის დედაქალაქი დოჰა აზიის თამაშებს უმასპინძლებს. იმავე წელს გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. შინ ღირსეულად სათამაშოდ და გერმანიაში მოსახვედრად არაბებს გამოცდილი სპეციალისტი სჭირდებათ. ასეთად მათ ფილიპ ტრუსიე მიიჩნიეს და ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზეს.

ფრანგს თავის დროზე ნიგერიაში, სამხრეთ აფრიკაში, ბურკინა ფასოში და კოტ დივუარში უმუშავია, შარშან კი მისი თავკაცობით იაპონიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალშიც გავიდა.

ყატარის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან საუდ ალ მოჰანადის თქმით, ფილიპ ტრუსიე დოჰაში გუშინ ჩავიდა და კონტრაქტს ხელი მოაწერა.

თვითონ ფრანგი პირობებით უკმაყოფილო არ არის: „ამ ქვეყნის ფეხბურთი აღმავლობის გზაზეა. ფედერაციას სურს, რომ ნაკრებმა მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ითამაშოს და საამისოდ არაფერს იშურებს. მეც ჩემს ცოდნას შევაშველებ და, ვფიქრობ, რამდენიმე წელიწადში შედეგიც გამოჩნდება".

ვაჟა ხუციშვილი

ჰარი კიუელი



შერი მერფის ვიქტორია ადამსობისთვის ამზადებენ

ჰარი და შერი

გთხოვთ, იცნობდეთ ახალ ბექზს და ჰოშს

პოში და ბექზი მადრიდში ეწყობიან ანუ ევროპის ჩრდილო-დასავლეთმა ყველაზე ცნობილი სელებრითი წყვილი დაკარგა, თუმცა...

ერთი წუთით, ჩემო ბატონო! ნუ იჩქარებთ! ინგლისს სათადარიგო წყვილი უნდა ჰყავდეს სადღაც... ჰო, აი, აი: „ლიდს იუნაიტედიდან" „ლივერპულში" გადასული ავსტრალიელი ჰარი კიუელი და მეუღლე მისი შერი მერფი. იცით, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დევიდი და ვიქტორია ინგლისში ჰქუხდნენ და საყოველთაო ყურადღებას იპყრობდნენ, ჰარი და შერი ერთი შეხედვით შეუმჩნეველ მეორე პოზიციაზე მყარდებოდნენ და... თითქოს იმ დღეს ელოდნენ, როდესაც რაღაც მოხდებოდა.

მაინც რით ჰგავს ეს ორი წყვილი ერთმანეთს?

ბექემი და კიუელი ფეხბურთელები არიან, თავ-თავიანთი ქვეყნების ნაკრებში თამაშობენ და პრემიერლიგაში აქამდე ერთადერთ გუნდს ერთგულებდნენ — პირველი „მანჩესტერ იუნაიტედს", მეორე — „ლიდს იუნაიტედს". ცოლებად ორივეს სელებრითი ქალები ჰყავთ, პირველს პოში — ნუ, აქ ყველაფერი გასაგებია — მეორეს შერი, რომელიც იორკშირურ „საპნის ოპერაში" გამოდის, ორივე წყვილს ორი შვილი ჰყავს და ორივემ პირველი მშობიარობის შემდეგ იქორწინა.

ქორწილებს შორის კი განსხვავება იყო. ბექემების ამბავი ხომ იცით — ირლანდიაში, სასახლეში, რამდენიმე ასეული სტუმრის თანდასწრებით ყოვლად პომპეზური ცერემონიალი გადახადეს, კიუელებმა კი ოკეანის გადაღმა, ლას ვეგასში, 30 მეგობართან ერთად წაუქეიფეს და ეგ იყო.

იცით, რას ამბობდნენ? თუ ჰარი „ჩელსიში" გადავა (იყო ასეთი ვარიანტი), შერი სერიალს გამოიცვლის და „ისტენდერებში" გადაბარგდებაო — „ისტენდერები" სერიალებს შორის პრემიერლიგაშია.

მაგრამ არ გამოვიდა და...

ისე, რა აუცილებელია ყველაზე ცნობილ წყვილს მაინც და მაინც ფეხბურთელი და მომღერალი მსახიობი შეადგენდეს?

პაპუნა კედია



გაზას გადასვლამდე მილუოლელები ბუჩქებს აშარდავენ

გესქოინბაზი გასაცოდავდა

„მილუოლი" გიუვარსკვლავა პოლ გესქოინს ერთწლიან კონტრაქტს სთავაზობს. მას მერე, რაც ბრიტანულ პრესაში გავრცელდა ცნობა, რომ გაზა ჩინეთში თამაშს გულს ვეღარ უდებს, პირველი დივიზიონის გუნდმა დაუყოვნებლივ ისროლა ანკესი, მით უფრო, რომ მწვრთნელის ასისტენტად არჩი კნოქსი ჰყავს, ვეტერანთან ჯერ კიდევ „ევერტონში" ნამუშევარი.

ახლა ვნახოთ, რას ამბობს „მილუოლის" თავგადაკლული ქომაგი, ცნობილი კრივის პრომოუტერი ფრენკ მელოუნი:

„პოლი პრობლემური კაცია, მაგრამ კვლავ ძალიან ნიჭიერი გახლავთ და სანამ თავის სწორად დაჭერა შეუძლია, სასარგებლოა. ჩემი აზრით, იგი პირადად მიიყვანს სტადიონზე სამ-ხუთ ათას ქომაგს, ხოლო თამაში რომ ისევ პრემიერლიგის დონეზე შეუძლია, ფაქტია".



ბობი რობსონს თავის დროზე პოლ გესქოინის ამბორიც უგემია

ხოლო, სანამ გაზა ფიქრობს, მისი შესაძლო თანაგუნდელები ბეკინჰემის ბაზაზე კოლექტიურად ისვენებენ და ალბათ იმას ბჭობენ, რა კარგი მეგობარი ამოუდგებათ მალე გვერდით, თუ...

თუ, რასაკვირველია, „ნიუკასლ იუნიტედის" მწვრთნელმა, ბობი რობსონმა არ გადაიფიქრა და ეს ახირებული ადამიანი თავისთან არ წაიყვანა.

რობსონი: „მან თავი შემომთავაზა, მითხრა, რომ „ნიუკასლისთვის" დიდი საქმის გაკეთებას შეძლებს, მე კი გამეცინა. შევეცადე ამეხსნა, რომ ჩემს გუნდში თამაშობენ ჯერმენ ჯინასი, კირონ დაიერი, გარი სპიდი, უგო ვიანა... მანამდე სასიამოვნო საუბარი გვქონდა, გაზამ სამომავლო გეგმები გამაცნო, ჩამომითვალა კლუბები, რომლებიც კონტრაქტს სთავაზობენ, მე კი წავაქეზე, ვუთხარი, რომ ყველაფერი უნდა იღონოს, რათა სიამოვნება მიიღოს საყვარელი საქმისგან. ამის შემდეგ კი ის აღელდა და დაიჩემა, რომ ჩემთვის და „ნიუკასლისთვის" დიდი დახმარების გაწევა შეუძლია. ვუთხარი, რომ ის 36 წლისაა, მე კი ძალიან ახალგაზრდებზე ვამახვილებ ყურადღებას, ვუთხარი პირდაპირ, ოღონდ ისე, რომ გული არ სტკენოდა. ის პირდაპირ საუბარს იმსახურებს. ბევრჯერ დაპირებიან მთელ ქვეყანას, შემდეგ კი უღალატიათ, რასაც მე ვერასდროს გავუკეთებ, რადგან ძლიერ მიყვარს. მას, თავად, ერთხელაც არ უღალატია ჩემთვის, ყოველთვის ასი პროცენტით იხარჯებოდა".

ეს გახლავთ ციტატა საკმაოდ ხანგრძლივი ინტერვიუდან, რომელშიც რობსონი ყოველმხრივ ხოტბას ასხამს გესქოინს, ადასტურებს მის მიმართ მამაშვილურ ურთიერთობას და განიცდის, რომ ვერაფრით ეხმარება, იძულებულია, მშობლიური კუთხის გუნდში თამაშზე უარი უთხრას.

„და თუ ოდესმე „სენტ ჯეიმს პარკზე", თავისი ხალხის წინაშე ბოლოჯერ გამოსვლაში დავეხმარები, თავს უბედნიერეს ადამიანად ვიგრძნობ" — დასძინა მწვრთნელმა.

პაპუნა კედია

თქვენ რუსებს არ იცნობთ, ბატონო კლაუდიო

ცუდი უფროსები სულ რანიერის როგორ ხვდებიან



კლაუდიო რანიერი სულ მალე შესაძლოა ლონდონური „ჩელსის" მენეჯერობიდან გადადგეს. თუ ასე მოხდა, იტალიელის წასვლის მიზეზი კლუბის ახალი მფლობელის, რუს-ებრაელი მილიარდერის, რომან აბრამოვიჩის პიროვნებაში უნდა ვეძებოთ.

საქმე ის გახლავთ, რომ კენ ბეიტსისგან „ჩელსის" გადაბირების დღიდანვე აბრმოვიჩმა გასაყიდ და შესაძენ ფეხბურთელებზე დაიწყო ლაპარაკი. თავისთავად ამაში ცუდი და არასწორი არაფერია, რადგან მოთამაშეების ყიდვა-გაყიდვა მისი სამუშაოს ნაწილია. მაგრამ აბრამოვიჩი ამას კლაუდიო რანიერისთან შეუთანხმებლად აკეთებს და იტალიელი მენეჯერის წყრომაც ამას გამოუწვევია.

ისე, რანიერის სულ ეგეთი რამეები ემართება. ჯერ იყო და, მადრიდის „ატლეტიკოდან" იმიტომ გაიქცა, თავქარიან ხესუს ხილის ხუშტურებს ვერ გაუძლო. მერე „ვალენსიაში" მუშაობდა და იქიდანაც დირექტორატის წევრებთან კონფლიქტის გამო აიბარგა. „ჩელსიში" მისულს სამი წელი არაფერი უშავდა, აბრმოვიჩის მისვლის მერე კი ძველი ამბები გაახსენდა.

„ზოგადად, ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება კლუბის თავმჯდომარე — თქვა რანიერიმ — ვინც გინდა იყოს, მან თავისი ფუნქციები უნდა შეასრულოს, მე კი ჩემი. მაგრამ რა ხდება, აბრამოვიჩი ჯერ ერთხელაც არ დამლაპარაკებია და უკვე ჩემს პირად საქმეებში ერევა. მაგალითად, ამბობს, პატრიკ კლუივერტი უნდა ვიყიდოო. კლუივერტის მოყვანა ეგებ მეც მინდა, მაგრამ ხომ უნდა შემითანხმოს? ფაქტობრივად, აბრამოვიჩი ერთადერთ მოვალეობად ვარჯიშების ჩატარებას მიტოვებს, მაგრამ ვინ უნდა ვავარჯიშო, არ მეკითხება".

ირაკლი ნინიძე

ევროსტატი 2002-2003

კვიპროსი

ომონია	26	18	6	2	68:22	60
ანართოსისი	26	19	2	5	65:30	59
აპოელი	26	16	7	3	55:24	55
ოლიმპიაკოსი	26	16	4	6	56:29	52
აელი	26	11	6	9	56:45	39
ეთნიკოსი	26	10	7	9	35:32	37
აეპ	26	11	4	11	38:45	37
აეკ	26	9	5	12	43:50	32
დიოგენისი	26	9	4	13	40:40	31
ენოსისი	26	8	7	11	39:40	31
აპოლონი	26	8	7	11	42:46	31
ნეა სალამინა	26	6	11	9	39:40	29
არისი	26	2	3	21	31:92	9
აღკი	26	1	3	22	21:93	6

ბომბარდირი: ნოფიტუ (33, ანართოსისი)
გავარდნები: „ნეა სალამინა", „არისი", „აღკი"
ალზევდნები: „ანაგენისისი", „ონისილოსი", „დოქსა"
თასის ფინალი:
ანართოსისი 0:0(პენ.5:3) აელი

ლატვია

სკონტო	28	23	4	1	95:19	73
ვენტსპილსი	28	22	5	1	77:20	71
მეტალურგსი	28	15	6	7	56:31	51
დინაბურგი	28	12	4	12	37:35	40
ვალმიერა	28	6	6	16	26:54	24
პოლიცეია	28	6	5	17	29:60	23
რიგა	28	6	2	20	24:75	20
აულა	28	5	2	21	23:73	17

ბომბარდირი: მიხოლაპსი (23, სკონტო)
გავარდა: „პოლიცეია" (არსებობა შეწყვიტა)
ალზევდა: „არმა"
თასის ფინალი: სკონტო 3:0 მეტალურგსი

ლიტვა

კაუნასი	32	24	6	2	85:20	78
ატლანტასი	32	20	7	5	58:23	67
ეკრანასი	32	16	7	9	43:25	55
ჟალგირისი	32	12	11	9	46:37	47
ინკარასი	32	13	7	12	34:29	46
სუდუვა	32	11	8	13	44:50	41
სკალასი	32	8	10	14	30:56	34
გელეჟინისი	32	4	6	24	26:75	18
ნიავეჟისი	32	2	6	26	19:70	12

ბომბარდირი: შლეკისი (19, კაუნასი)
გავარდნები: „გელეჟინისი", „ნიავეჟისი"
ალზევდნები: „შვიესა", „ვეტრა"
თასის ფინალი: ატლანტასი 1:1(პენ.3:1) ვეტრა

ლიხტენშტაინი

ჩემპიონატი არ ტარდება,
ქვეყნის გუნდები მონაწილეობენ
შვეიცარიის ქვედა ლიგებში
თასის ფინალი: ვადუცი 6:0 ბალცერსი

ლუქსემბურგი

პლეი ოფი

გრევენმახერი	28	18	5	5	68:28	59
დუდელანჟი	28	16	4	8	66:34	52
ჟენეს ეში	28	13	9	6	54:30	28
უნიონი	28	12	6	10	43:40	42

პლეი აუტი A ჯგუფი

ესპერანჟი	28	14	9	5	66:37	51
როსპორტი	28	10	8	10	44:55	38
რუმელანჟი	28	11	4	13	51:63	37
პროგრესი	28	6	0	22	29:82	18

პლეი აუტი A ჯგუფი

მონდერკანჟი	28	14	2	12	64:56	44
ავენირი	28	11	4	13	57:64	37
ვილცი	28	9	5	14	40:53	32
მერციგი	28	6	0	22	36:76	18

ბომბარდირი: პუსი (22, გრევენმახერი)
გავარდნები: „პროგრესი", „მერციგი"
ალზევდნები: „ეტცელა", „სპორა"
თასის ფინალი: გრევენმახერი 1:0 ეტცელა

მაკედონია

ვარდარი	33	22	6	5	73:37	72
ბელასიცა	33	20	9	4	50:52	69
პობედა	33	20	5	8	55:33	65
რაბოტნიჩკი	33	16	6	11	41:35	54
სლოგა	33	15	6	12	62:50	51
სილეკსი	33	14	4	15	40:35	46
ნაპრედოკი	33	13	3	17	39:41	42
ცეშენტარნიცა	33	11	9	13	45:39	42
ტიკვეში	33	11	4	18	37:58	37
ბრეგალნიცა	33	10	6	17	44:49	36
პელისტერი	33	7	7	19	30:60	28
კუმანოვო	33	4	5	24	24:74	17

ბომბარდირი: ხავიჩი (25, ბრეგალნიცა)
გავარდნები: „პელისტერი", „კუმანოვო"
ალზევდნები: „ბაშკიმი", „სოლიდარნოსტი"
თასის ფინალი:
ცეშენტარნიცა 4:4(პენ.3:2) სლოგა

მალტა

პლეი ოფი

სლიმა	28	10	4	4	70:28	42
ბირკირკარა	28	18	3	7	64:34	37
ლა ვალეტა	28	16	5	7	57:31	35
ჰიბერნიანსი	28	14	5	9	53:36	32
პიეტა	28	7	9	12	27:43	19
მარსაშლოკი	28	8	2	18	34:57	16

პლეი აუტი

ჰ. სპარტანსი	24	8	5	11	32:43	21
ფლორიანა	24	8	6	10	32:34	20
მარსა	24	6	6	12	33:53	16
მოსტა	24	2	5	17	17:60	6

ბომბარდირები: დონჩიჩი (18, სლიმა),
მ. გალეა (18, ბირკირკარა),
ა. მიფსუდი (18, ჰიბერნიანსი)
გავარდნები: „მარსა", „მოსტა"
ალზევდნები: „მსიდა", „ბალზანი"
თასის ფინალი:
ბირკირკარა 1:0 დ.დ.(0:0) სლიმა

მოლდოვა

შერიფი	24	19	3	2	64:15	60
ზიმბრუ	24	15	5	4	47:20	50
ნისტრუ	24	13	3	8	33:24	42
დაჩია	24	8	8	8	24:28	32
ტირასპოლი	24	7	5	12	27:38	26
აგრო	24	4	8	12	13:33	20
პოლიტეხნიკა	24	1	2	21	8:58	5

ბომბარდირი: დადუ (19, შერიფი);
გავარდნები: „პინწუტი" (მოხსნილი იყო გათამაშებიდან), „პოლიტეხნიკა"
ალზევდნები: „ტილიგული", „უნისპორტი"
თასის ფინალი: ზიმბრუ 0:0(პენ.4:2) ნისტრუ

ნორვეგია

რუსენბორგი	26	17	5	4	57:30	56
მიოლდე	26	15	5	6	48:26	50
ლინი	26	14	5	7	36:29	47
ვიკინგი	26	11	11	4	44:31	44
სტაბეკი	26	12	6	8	48:34	42
ოდ გრენლანდი	26	12	5	9	36:30	41
ლილესტრიომი	26	10	6	10	37:30	36
ვოლერენგა	26	7	12	7	38:31	33
ბრინი	26	8	7	11	38:39	31
ბოდიო გლიმტი	26	9	4	13	38:41	31
სოგნდალი	26	8	6	12	37:51	30
ბრანი	26	8	3	15	35:52	27
მოსი	26	6	6	14	32:49	24
სტარტი	26	2	5	19	21:72	11

ბომბარდირი: ბრატბაკი (17, რუსენბორგი)
გავარდნები: „მოსი", „სტარტი";
ალზევდნები: „ტრომსიო", „ალესუნდი"
თასის ფინალი:
ვოლერენგა 1:0 ოდ გრენლანდი

პოლონეთი

ვისლა	30	21	5	4	75:28	68
გროცლინი	30	18	8	4	65:26	62
კატოვიცე	30	19	4	7	39:21	61
ლეგია	30	17	9	4	61:29	60
ოდრა	30	17	5	8	55:42	56
ამიკა	30	11	10	9	43:34	43
გურნიკი	30	10	11	9	46:26	41
პოლონია	30	11	8	11	37:45	41
ვიძევი	30	10	7	13	29:39	37
პლოცკი	30	10	7	13	29:38	37
ლეხი	30	8	11	11	41:58	35
ზაგლებე	30	8	8	14	34:44	32
გარბარნია	30	8	8	14	40:54	32
რუხი	30	7	11	12	29:39	32
ოსტროვიეცი	30	4	3	23	21:63	15
პოგონი	30	2	3	25	14:77	9

ბომბარდირი: სვიტლიცა (24, ლეგია);
გავარდნები: „ზაგლებე", „რუხი",
„ოსტროვიეცი", „პოგონი"
ალზევდნები: „პოლკოვიეცე", „გურნიკი" (ლუბლინი)
თასის ფინალი: პლოცკი 0:3 ვისლა (1:0)

პორტუგალია

პორტუ	34	27	5	2	73:26	86
ბენფიკა	34	23	6	5	74:27	75
სპორტინგი	34	17	8	9	52:38	59
გიმარაეში	34	14	8	12	47:46	50
ლეირია	34	13	10	11	49:47	49
ფერეირა	34	12	9	13	40:47	45
მარიტიმუ	34	13	5	16	35:48	44
ჟილ ვისენტე	34	13	5	16	42:53	44
ბოავიშტა	34	10	13	11	32:31	43
ბელენენსეში	34	11	10	13	47:48	43
ნასიონალი	34	9	13	12	40:46	40
მორეირენსე	34	9	12	13	42:45	39
ბეირა მარი	34	10	9	15	43:50	39
ბრაგა	34	8	14	12	34:47	38
აკადემიკა	34	8	13	13	38:48	37
ვარზიმი	34	10	6	18	38:51	36
სანტა კლარა	34	8	11	15	39:54	35
სეტუბალი	34	6	13	15	40:53	31

ბომბარდირები: ფეიე ფერი
(18, ბეირა მარი), სიმაო (18, ბენფიკა)
გავარდნები: „ვარზიმი",
„სანტა კლარა", „სეტუბალი"
ალზევდნები: „რიუ ავე", „ალვერკა", „ამადორა"
თასის ფინალი: პორტუ 1:0 ლეირია

რუმინეთი

რაპიდი	30	20	3	7	59:25	63
სტიაუა	30	16	8	6	42:27	56
გლორია	30	13	6	11	32:33	45
ბრაშოვი	30	13	6	11	37:33	45
ჩაჰლაული	30	12	8	10	43:33	44
დინამო	30	13	5	12	49:46	44
უნივერსიტატია	30	12	8	10	36:37	44
ნაციონალი	30	12	7	11	41:36	43
ასტრა	30	13	3	14	42:42	42
ფარული	30	12	4	14	35:47	40
არჯეში	30	11	5	14	37:41	38
ბაკეუ	30	10	8	12	31:31	38
ოცელული	30	9	9	12	25:37	36
პოლიტეხნიკა	30	11	2	17	37:52	35
სპორტული	30	9	4	17	44:55	31
უტა	30	8	6	16	37:52	30

პლეი აუტი

ოცელული 2:1 ორადია (1:3)
პოლიტეხნიკა 5:3 გლორია (3:1)
ბომბარდირი: რადუწანუ (21, სტიაუა);
გავარდნები: „უტა", „სპორტული", „ოცელული"
ალზევდნები: „პეტროლული", „ალბა", „ორადია"
თასის ფინალი: დინამო 1:0 ნაციონალი

ევროპაში დუბლის გამზრხვბელი გუნდი ბევრი არ არის, მათ შორისაა თბილისის „დინამოც"

რუსეთი

ცსკა	30	21	3	6	60:26	66
ლოკომოტივი	30	19	9	2	46:14	66
სპარტაკი	30	16	7	7	49:36	55
ტორპედო	30	14	8	8	47:32	50
კრილია სოვეტოვი	30	15	4	11	39:32	49
სატურნი	30	13	8	9	41:37	47
შინიკი	30	13	8	9	42:37	47
დინამო	30	12	6	12	38:33	42
როტორი	30	11	5	14	27:34	38
ზენიტი	30	8	9	13	36:42	33
როსტსელმაში	30	7	10	13	29:49	31
ალანია	30	8	6	16	31:42	30
ურალანი	30	6	11	13	32:42	29
ტორპედო ზილი	30	6	10	14	20:39	28
ანჟ	30	5	10	15	22:43	25
სოკოლი	30	5	8	17	24:45	23

ოქრის მატჩი: ლოკომოტივი 1:0 ცსკა
ბომბარდირები: გუსევი (15, ცსკა),
კირიჩენკო (15, ცსკა)
გავარდნები: „სოკოლი", „ანჟი"
ალზევდნები: „რუბინი", „ჩერნომორეცი"
თასის ფინალი: სპარტაკი 1:0 როსტოვი

საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი	30	21	7	2	75:21	70
პანათინაიკოსი	30	22	4	4	50:19	70
აეკ	30	21	5	4	74:29	68
პაოკ	30	16	5	9	59:38	53
პანიონიოსი	30	15	8	7	35:25	53
არისი	30	15	6	9	37:34	51
ირაკლისი	30	15	4	11	44:37	49
ოფი	30	12	8	10	39:34	44
ქსანთი	30	8	11	11	31:33	35
ეგალეო	30	7	10	13	28:44	31
პროდეფტიკი	30	7	9	14	25:38	30
აკრატიტოსი	30	7	5	18	33:62	26
კალითეა	30	6	8	16	29:46	26
იონიკოსი	30	5	9	16	22:42	24
პანაჰაიკი	30	1	6	23	11:71	9
იანინა	30	6	7	17	25:44	-65

ბომბარდირი: ლიბეროპულოსი
(16, პანაიონიაკოსი)
გავარდნები: „იანინა", „პანაჰაიკი";
ალზევდნები: „ჰალკიდონა", „პანილიაკოსი"
თასის ფინალი: პაოკ 1:0 არისი

სან მარინო

პლეი ოფი A ჯგუფი

პენაროსა	20	12	4	4	48:22	40
მურატა	20	11	6	3	41:25	39
კაილუნგო	20	10	8	2	40:19	38
ფაეტანო	20	10	6	4	31:19	36
ფოლგორე	20	6	7	7	24:27	25
მონტეკიტო	20	1	6	13	21:48	9
ლა ფიორიტა	20	2	1	17	11:54	7

პლეი ოფი B ჯგუფი

დომანანო	21	11	6	4	32:18	39
ლიბერტასი	21	10	4	7	32:22	34
ვირტუსი	21	8	8	5	32:27	32
ტრე პენე	21	7	9	5	30:27	30
კოსმოსი	21	5	10	6	29:38	25
იუვენესი	21	4	11	6	23:28	23
ტრე ფიორი	21	4	8	9	25:32	20
სან ჯოვანი	21	4	4	13	24:37	16

პლეი ოფი ფინალი

პენაროსა 1:2 დომანანო
ბომბარდირი: ზაბული (24, პენაროსა);
გავარდა: არავინ;
ალზევდა: არავინ
თასის ფინალი:
დომანანო 1:0 პენაროსა

საფრანგეთი

ლიონი	38	19	11	8	63:41	68
მონაკო	38	19	10	9	66:33	67
მარსელი	38	19	8	11	41:36	65
ბორდო	38	18	10	10	57:36	64
სოშო	38	17	13	8	46:31	64
ოსერი	38	18	10	10	38:29	64
გენგამი	38	19	5	14	59:46	62
ლანსი	38	14	15	9	43:31	57
ნანტი	38	16	8	14	37:39	56
ნიცა	38	13	16	9	39:31	55
პსჟ	38	14	12	12	47:36	54
ბასტია	38	12	11	15	40:48	47
სტრასბური	38	11	12	15	40:54	45
ლილი	38	10	12	16	29:44	42
რენი	38	10	10	18	35:45	40
მონპელიე	38	10	10	18	37:54	40
აიაჩო	38	9	12	17	29:49	39
ლე ავრი	38	10	8	20	27:47	38
სედანი	38	9	9	20	41:59	36
ტრუა	38	7	10	21	23:48	31

ბომბარდირი: ნონდა (26, მონაკო)
გავარდნები: „ლე ავრი", „სედანი", „ტრუა"
ალზევდნები: „ტულუზი", „ლე მანი", „მეცი"
თასის ფინალი:
ოსერი 2:1 პსჟ

საქართველო

პლეი ოფი

დინამო	10	6	2	2	17:7	48
ტორპედო	10	6	2	2	15:5	46
ვიტ ჯორჯია	10	4	4	2	10:7	41
ლოკომოტივი	10	4	1	5	16:10	38
სიონი	10	2	2	6	9:20	23
კოლხეთი	10	0	5	5	5:23	20

პლეი აუტი

დილა	10	5	3	2	15:8	29
ბათუმი	10	5	3	2	12:5	28
მერანი-ოლიმპი	10	4	3	3	15:5	27
გორდა	10	5	3	2	8:3	25
მილანი	10	3	4	3	7:7	20
მეტალურგი	10	0	0	10	0:29	10

ბომბარდირი: იონანიძე (26, ტორპედო);
გავარდნები: „მეტალურგი",
„მილანი", „გორდა"
ალზევდნები: „სპარტაკი",
„მერცხალი", „მცხეთა"
თასის ფინალი: დინამო 3:1 სიონი

სლოვაკეთი

ზილინა	36	21	7	8	69:31	70
პეტრჟალკა	36	20	7	9	49:32	67
სლოვანი	36	19	6	11	60:42	63
სპარტაკი	36	15	11	10	55:47	56
პუხოვი	36	14	8	14	46:47	50
ინტერი	36	12	7	17	48:58	43
დუბნიცა	36	12	7	17	41:52	43
რუზომბეროკი	36	12	6	18	45:60	42
ტრენჩინი	36	11	5	20	48:69	38
კოშიცე	36	6	12	18	41:64	30

ბომბარდირები: ფაბუში (20, ზილინა),
მინტალი (20, ზილინა);
გავარდა: „კოშიცე"
ალზევდა: „დუკლა"
თასის ფინალი:
პუხოვი 2:1დ.დ.(0:0) სლოვანი

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

დღეიდან კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი. XVI ტური						
		11 ივლისი						
16.00	001	ცსკა-ზენიტი	1.45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
16.00	002	ლოკომოტივი-რუბინი	1.45	3,6	7,5	1,03	1,21	2,43
		12 ივლისი						
16.00	003	მეტალურგი-ურალანი	1.85	3,1	4,2	1,15	1,28	1,78
16.00	004	ალანია-შინიკი	2.6	2,6	2,6	1,3	1,3	1,3
16.00	005	კრილია-ტორპედო	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
16.00	006	ჩერნომორეცი-სპარტაკი	2.45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
16.00	007	როსტოვი-როტორი	1.6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
		13 ივლისი						
16.00	008	სატურნი-დინამო	2.05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
		შვედეთი. XIV ტური						
		13 ივლისი						
20.00	011	იორებრო-ლანდსკრონა	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
20.00	012	იოსტერი-ჰალმსტადი	3.4	3,3	2,0	1,67	1,25	1,24
20.00	013	სუნდსვალი-ენკიოპინგი	1.6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
		ფინეთი. XII ტური						
		10 ივლისი						
20.30	015	კუოპიო-ალიანსი	3,3	3,3	2,05	1,65	1,26	1,26
20.30	016	ტამპერე-იოკერიტი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		12 ივლისი						
18.00	017	ჰიკ-ტურკუ	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
		13 ივლისი						
20.30	018	ჰაამეენლინა-ჯაზი	1,7	3,5	4,4	1,14	1,22	1,94
20.30	019	ინტერი-მიუპა	3,2	3,3	2,1	1,62	1,26	1,28
20.30	020	კტპ-იარო	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
20.30	021	ლაჰტი-ჰაკა	4,2	3,4	1,75	1,87	1,23	1,15
		ავსტრია						
		სუპერთასი.						
		12 ივლისი						
19.20	022	აუსტრია-კერნტენი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
		ოქროს თასი						
		ტურნირი აშშ-ში						
		12 ივლისი						
22.00	039	კოსტა რიკა-კანადა	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
03.30	040	აშშ-სალვადორი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
		13 ივლისი						
22.00	041	მექსიკა-ბრაზილია	2,8	3,2	2,35	1,49	1,27	1,35
24.00	042	იამაიკა-კოლუმბია	5,3	3,5	1,6	2,1	1,22	1,09

		ინტერტოტოს თასი						
		12 ივლისი						
19.00	024	გლორია(რუმინეთი)-ბრეშა(იტალია)	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
20.00	025	პარტიზანი(ალბანეთი)-დაჩია(მოლდოვა)	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
20.30	026	ოფკ(სერბია)-სიგმა(ჩეხეთი)	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
21.00	027	ციბალია(ხორვატია)-შახტიორი(ბელარუსი)	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
21.00	028	ლუბნიცა(სლოვაკეთი)-კოპერი(სლოვენია)	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
21.00	029	ბრნო(ჩეხეთი)-თუნი(შვეიცარია)	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
22.00	030	ეტო(უნგრეთი)-რასინგი(ესპანეთი)	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
22.00	031	ვილი(შვეიცარია)-ტილბურგი(ჰოლანდია)	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
22.00	032	ლიერსი(ბელგია)-სლობოდა(ბოსნია)	1,45	3,8	6,5	1,04	1,18	2,39
22.30	033	პასინგი(ავსტრია)-პობედა(მაკედონია)	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
23.00	034	ვოლფსბურგი(გერმანია)-მარეკი(ბულგარეთი)	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
23.00	035	ნიცა(საფრანგეთი)-ორგრიტე(შვედეთი)	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
		13 ივლისი						
19.15	036	შემროკი(ირლანდია)-ლიბერეცი(ჩეხეთი)	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
20.00	037	სუტიესკა(სერბია)-ტამპერე(ფინეთი)	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

book infoworld p2p

გეიმბუკერსი (ინგლისი-ავსტრია)

რუსეთი. პრემიერლიგა. XVI ტური

11 ივლისი

ცსკა — ზენიტი ---------- 1,52 ------ 3,5 ----- 5,5
ლოკომოტივი — რუბინი ---------- 1,52 ------ 3,5 ----- 5,5

12 ივლისი

კრილია — ტორპედო ---------- 1,85 ------ 3,2 ----- 3,7
სპარტაკ-ალანია — შინიკი ---------- 2,48 ------ 3,1 ----- 2,5
ტორპედო-მეტალურგი — ურალანი ---------- 2,1 ----- 3,15 ---- 3,05
ჩერნომორეცი — სპარტაკი ---------- 2,5 ----- 3,05 ----- 2,5
როსტოვი — როტორი ---------- 1,75 ------ 3,3 ----- 4,0

13 ივლისი

სატურნი — დინამო ---------- 2,15 ----- 3,15 ---- 2,95

ფინეთი. XII ტური

10 ივლისი

კუოპიო — ალიანსი ---------- 3,4 ---- 3,25 ----- 1,95
ტამპერე — იოკერიტი ---------- 1,75 ------ 3,4 ----- 4,0

12 ივლისი

ჰიკ — ტურკუ ---------- 1,44 ------ 4,0 ----- 6,0

13 ივლისი

ინტერი — მიუპა ---------- 3,0 ------ 3,2 ---- 2,15
კტპ — იარო ---------- 2,15 ------ 3,2 ----- 3,0
ლაჰტი — ჰაკა ---------- 4,0 ------ 3,3 ----- 1,8
ჰამენლინა — ჯაზი ---------- 1,75 ------ 3,5 ----- 4,0

შვედეთი

XIV ტური

13 ივლისი

სუნდსვალი — ენკიოპინგი ---------- 1,72 ---- 3,35 ---- 4,35
იორებრო — ლანდსკრონა ---------- 1,75 ------ 3,3 ---- 4,25
იოსტერი — ჰალმსტადი ---------- 3,1 ------ 3,2 ------ 2,1

William HILL

უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

ავსტრია
სუპერთასი
12 ივლისი

აუსტრია — კერნტენი ---------- 1,36 ---- 3,75 ----- 8,0

შვედეთი
XIV ტური
13 ივლისი

სუნდსვალი — ენკიოპინგი ---------- 1,72 ---- 3,25 ----- 4,2
იორებრო — ლანდსკრონა ---------- 1,66 ------ 3,3 ----- 4,5
იოსტერი — ჰალმსტადი ---------- 3,4 ---- 3,25 ------ 1,9

ფინეთი
XII ტური
12 ივლისი

ჰიკ — ტურკუ ---------- 1,44 ------ 3,6 ----- 6,5

13 ივლისი

ჰაამენლინა — ჯაზი ---------- 1,66 ------ 3,4 ---- 4,33
ინტერი — მიუპა ---------- 2,87 ------ 3,3 ------ 2,1
კტპ — იარო ---------- 2,25 ------ 3,2 ---- 2,75
ლაჰტი — ჰაკა ---------- 3,6 ------ 3,4 ------ 1,8

WETTBÜRO SCHWECHAT
Jeder kann gewinnen

ვეტენ შვეჰატი (ავსტრია)

ფინეთი. XII ტური
10 ივლისი

კუოპიო — ალიანსი ---------- 3,0 ------ 3,3 ------ 1,9
ტამპერე — იოკერიტი ---------- 1,55 ------ 3,6 ------ 4,2

ამხანაგური მატჩები
10 ივლისი

დუისბურგი (გერმანია) — ლევერკუზენი (გერმანია) ---- 3,7 ------ 3,3 ------ 1,7
სლავია (ჩეხეთი) — ჰანოვერი (გერმანია) ---------- 2,0 ------ 3,3 ------ 2,8
ვატენშაიდი (გერმანია) — გალათასარაი (თურქეთი) ---- 5,5 ------ 3,8 ------ 1,4

ბრაზილია. XVII ტური
10 ივლისი

კრისიუმა — ატლ. მინეირო ---------- 1,9 ------ 3,2 ------ 3,1
პონტე პრეტა — ფლუმინენსე ---------- 1,9 ------ 3,2 ------ 3,1

interwetten.com

ინტერვეტენი (ავსტრია)

ოთხთა ტურნირი. 10 ივლისი

კაიზერსლაუტერნი (გერმანია) — რაპიდი (რუმინეთი) - 1,65 ------ 3,4 ------ 3,6

ფინეთი. XII ტური. 10 ივლისი

კუოპიო — ალიანსი ---------- 3,4 ------ 3,1 ------ 1,8
ტამპერე — იოკერიტი ---------- 1,7 ------ 3,1 ------ 3,8

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდანწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	ალმაშენებლის ქუჩა № 21	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	ალმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
ქობულეთი	სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია	
სარფი	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	



ბურაგ დოლიდაგაბელის ფოტო

საფრანგეთის ყველაზე სახელიან კლუბ „პო ორტეზში“ წლეულს ხუთი ტიტულის მომხვეჭი გიორგი მდივანი კარგი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია მონდომებას. მდივანს, რომელსაც კალათბურთელობაზე მეტად იქნებ მორაგბეობა მოუხდებოდა, ხანმოკლე კარიერაში ბევრი სიძნელე შეხვდა, ერთი პირობა კალათბურთისთვის თავის დანებებასაც აპირებდა, მაგრამ მოითმინა და დღეს იმ კლუბში თამაშობს, მრავალთათვის საოცნებო რომ გამხდარა. მდივანს მორაგბეობა მოუხდებოდაო და, ოვალბურთის ფრანგებზე დიდი გურმანები ვინ არიან? ჰოდა, პოს არცთუ ურიგო მორაგბეთა გუნდის თავკაცებს მდივანი „განამებული“ ჰყავთ, ვარჯიშებზე ესწრებიან და წამო ჩვენთანო, უკიჟინებენ. ამის გარდა, მდივანმა გუშინ არაერთი საინტერესო ამბავი გვიამბო, როცა რედაქციაში გვსტუმრობდა...

მდივანს სკამმა ვერ გაუძლო

ქართველ კალათბურთელს ფრანგი მორაგბეები დასდევენ



— გიყურებ და მთასავით ხარ, თანაც ამბობ, საფრანგეთში 15 კილომდე დავიკელიო. ამხელა ტანის კაცს კალათბურთზე მეტად რამე სხვა სპორტი მოგიხდებოდა. რატომ აირჩიე კალათბურთი?

— დედაჩემის არჩევანია, ადრე საქართველოს ნაკრების კაპიტანი იყო და ძალიან უნდოდა, მეც კალათბურთი მეთამაშა. ამიტომაც ცურვას თავი დავანებე და კალათბურთზე შევედი, მაგრამ თავიდან გამიჭირდა, წონა ხელს მიშლიდა მოძრაობაში.

— საბოლოოდ როგორ გადაჭერი წონის პრობლემა?

— ზედმეტი წონა მგონი, ახლაც მაქვს. თავიდან კი მართლაც ძალიან მაწუხებდა, ერთი პირობა კალათბურთისთვის თავის დანებება გადავწყვიტე, მაგრამ ნიკო ჩერქეზიშვილმა გადამაფიქრებინა, თავისთან „დინამო 2“-ში წამიყვანა და მერე იყო, კადეტთა ნაკრებში რომ ამიყვანეს. დიდი მადლობელი ვარ ამ კაცის. რომ არა ჩერქეზიშვილი, ახლა კალათბურთელი არ ვიქნებოდი.

— აბა, რა იქნებოდი?

— ალბათ მორაგბე. ჩემს ფიზიკურ მონაცემებს ბევრი ამჩნევს, პოში გაწამებული ვყავარ მორაგბეებს. პოელებს მორაგბეთა საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ, საფრანგეთის უმაღლეს დივიზიონში თამაშობენ. მისი მწვრთნელები კი თითქმის ყოველ ვარჯიშზე მოდიან, მაკვირდებიან და მეუბნებიან, წამოდი, ერთხელ წაივარჯიშე ჩვენთან და თუ არ მოგეწონება, არ დაგაკავებთო.

— ეგებ გეცადა...

— არა, რა უნდა ვცადო, ტყუილა მიწვალია ამდენი?! რაგბიში ყველაფრის ნულიდან დაწყება მომიწევს, კალათბურთში კი აქამდე მოვსულვარ, „პო ორტეზში“ ვთამაშობ.

— სად პო და სად თბილისი. როგორ მოგნახეს ფრანგებმა?

— შარშანწინ რიგაში კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე რომ ვიყავი, რამდენიმე ძლიერი კლუბი დაინტერესდა ჩემით და მანუჩარ მარკოშვილით. „პო ორტეზთან“ ერთად იტალიურმა „ბენეტონმა“ და თურქულმა „ეფესმა“ დამიპირეს გასინჯვა. ფრანგებმა ყველას დაასწრეს. მათ პირდაპირ ვიზა გამომიგზავნეს, ჩამოდი შესამოწმებლადო. ჩავედი და მაშინვე მითხრეს, ჩვენთან ითამაშებო.

— სანამ ძირითად გუნდში გამოჩნდებოდი, დუბლიორთა ჩემპიონატში თამაშობდი. რა ტურნირია და ვინ თამაშობენ მასში?

— დუბლიორთა ჩემპიონატში 22 წლამდე ასაკის ის კალათბურთელები თამაშობენ, ძირითად გუნდში რომ ვერ ხვდებიან. ამიტომაც ჰქვია ამ ტურნირს „ესპაღ“ — მომავლის ჩემპიონატი. თუ 22 წლამდე ვერ დაიმკვიდრებენ თავიანთი კლუბის ძირითადში ადგილს, ასეთები მეორე, მესამე დივიზიონებში მიდიან. მე ორი სეზონი გავატარე დუბლიორთა შორის, ბოლო 6 თვეს კი პარალელურად დიდ „პო ორტეზშიც“ ვთამაშობდი.

— ალბათ ყველაზე გამორჩეული იყავი დუბლიორებში დიდ გუნდში რომ აგანაცვლეს...

— არ ვტრაბახობ, დუბლიორთა გუნდში მართლაც გამოვირჩეოდი. განსაკუთრებით მოხსნები მიგროვდებოდა ბევრი, ხშირად ვაკეთებდი 20-22-ს, ხანდახან მეტსაც. იანვარში ერთ-ერთი მატჩის წინ სათადარიგო გუნდის მწვრთნელმა მითხრა, თუ ახლაც კარგად ითამაშებ, ძირითად გუნდში გადაგიყვანენო. იმ შეხვედრაში 28 ქულა და 13 მოხსნა გავაკეთე და მეორე დღეს „პო ორტეზში“ ჩემი დებიუტიც შედგა. მას შემდეგ სისტემატიურად ვიყავი განაცხადში, თუმც იშვიათად ვთამაშობდი.

— ევროლიგაში რატომ არ გათამაშებდნენ. იქ ხომ უცხოელებზე არაა ლიმიტი...

— უცხოელებზე ლიმიტი არც საფრანგეთშია, ეგაა, ორ ამერიკელზე მეტს ვერ იყოლიებ გუნდში. ევროლიგაში სათამაშო ლიცენზია არ მქონდა, თავიდანვე არ დამარეგისტრირეს და ამიტომაც ვერ ვითამაშე.

— „პო ორტეზი“ საკმაოდ სოლიდური მიწოდებულია ნბა-სთვის. წლევანდელი დრაფტის პირველ წრეში ორი პოელი, ბორის დიავი და მიშელ პიეტრუსი აირჩიეს. ტონი პარკერიც პოორტეზელი არ იყო „სან ანტონიოში“ გადასვლამდე?! გავიგეთ, შენზეც ლაპარაკობენ, ნბა-სკენ აქვს გზაო...

— ჰო, ნბა-ში ითამაშებსო, ჩემზე ბარსელონაში უთხრეს „პო ორტეზის“ მწვრთნელს ამერიკელმა სკაუტებმა. კატალონიის დედაქალაქში ოთხთა ფინალის პარალელურად ევროლიგის ყველა მონაწილის დუბლშემადგენლობების ჩემპიონატი ჩატარდა. ამერიკელებმაც იქ მნახეს და ჩემს მწვრთნელს უთხრეს, ამ ბიჭს „4 ნომერზე“ — თავდამსხმელად თუ ათამაშებთ, გპირდებით, ორ წელიწადში მას ნბა-ში წავიყვანთო. არ ვიცი, ამიტომ თუ რის გამო, იმის შემდეგ ცენტრის მაგივრად თავდამსხმელად მათამაშებენ.

— თავად როგორ უყურებ ნბა-ურ პერსპექტივას?

— ჯერ ადრეა ნბა-ზე ფიქრი. მინიმუმ 2 წელი ევროპაში ვითამაშებ, მერე კი, თუ შანსი მექნება, რატომ უნდა ვთქვა უარი?!

— ამ ორი წლის გატარებას „პო ორტეზში“ აპირებ?

— ჰო, თითქმის გადაწყვეტილია, რომ „პო ორტეზთან“ სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებ. წამოსვლის წინ პოელებმა დროებითი ხელშეკრულება დამიდეს, ოქტომბრამდე, მერე კი 18 წლის გავხდები და პროფესიონალურ კონტრაქტსაც გავაფორმებ. აქამდე, ასე ვთქვათ, სტაჟიორი ვიყავი.

— ამას წინათ თქვი, მენეჯერს რამდენიმე ძლიერი კლუბის ვარიანტი აქვს ჩემთვისო...

— კაზანის „უნიკსმა“, ესპანურმა „უნიკასამ“ და „ვალენსიამ“ გამოთქვეს ჩემი აყვანის სურვილი, მაგრამ არა მგონია რომ საფრანგეთიდან წავიდე.

— ჟურნალისტებსაც დაინტერესებდა შენი ვინაობა, 17 წლის ქართველი ფრანგების მოწინავე გუნდში აღმოჩნდი...

— კორესპონდენტების სტუმრობა ნამდვილად არ მაკლდა. ჩვენი რეგიონის, ელანის გაზეთებში ხშირად იბეჭდებოდა ჩემზე ინფორმაციები, ინტერვიუები.

— სამხიარულოდ რას გაიხსენებდი?

— ...ერთხელ ხუთი პერსონალური მივიღე. გაბრაზებული სათადარიგოთა სკამზე დავენარცხე. სკამმა ვერ გამიძლო და მისი ჩამტვრევის ხმა მთელმა დარბაზმა გაიგო. ყველამ მე შემომხედა, ზოგი იცინოდა, ზოგი გაოცებულიყო. არ დავბნეულვარ, გატეხილი სკამი ავიღე და მაღლა ავწიე, ხუმრობით ვცადე უხერხული სიტუაციის განმუხტვა. მთელმა დარბაზმა ტაში დამიკრა, ალბათ იფიქრეს, ეს რა მხიარული ვინმე ყოფილაო.

— გუნდელები თუ გყავს მხიარული?

— ყველანი ხალისიანი ბიჭები არიან. ჩემი ყველაზე მაგარი ძმაკაცი ამერიკელი როდ სელერსია, უფროსი ძმასავით მექცევა, ყველაფერს მასწავლის. სელერსი ჯორჯიელია და უკვე 12 წელია, ევროპაში თამაშობს. 205 სანტიმეტრია, მაგრამ 210-215-სანტიმეტრიან მეტოქეებს არ ახარებს. ძალიან მაგარი ვინმეა, კაზინოშიც დავყავარ და შაბათ-კვირას, როცა გვცალია, ბასკეთშიც გადავდიართ ხოლმე გასართობად. პო ძალიან ახლოსაა ესპანეთის საზღვართან.

— პროფესიული კონტრაქტი ჯერ არ გაქვს და კაზინოში სასიარულო ფულს სად შოულობ?

— სელერსი მაძლევდა, მეუბნებოდა მიდი, ითამაშე, როგორი ბედი გაქვსო. ბედი მართლაც მწყალობდა, 500-600 დოლარს თითქმის ყოველ მისვლაზე ვიგებდი. ერთხელაც, აღარ შემიშვეს, კაზინოს შეფებს ჩემი ვინაობა ამოუჩხრიკავთ და რომ ნახეს, 17 წლის ვიყავი, თანაც ხშირად ვიგებდი, შავსიაში შეიტანეს ჩემი გვარი.

— საფრანგეთში როდის დაბრუნდები?

— 18 აგვისტოს „პო ორტეზის“ ძირითადი გუნდი იკრიბება და მეც ვარ დაბარებული. აწი, მგონი, აღარც მომიწევს დუბლებთან ურთიერთობა, ოქტომბერში ხომ ნაღდი პოორტეზელი ვხდები.

ირაკლი პერტაია



ზაზა ფაჩულიას ამერიკაში ორკულიანი დებიუტი ქონდა

ფაჩულიამ დებიუტი მოხსნა

ორლანდოური კემპის გახსნითმა მატჩმა ადგილობრივ „ჯადოქრებსა“ და კლივლენდურ „კავალერია“ შორის სრულიად ამერიკის ყურადღება დაიპყრო. ამ შეხვედრას ელოდა ქართული კალათბურთის ქომაგიც, მაგრამ სულ სხვა მიზეზის გამო. ამერიკელებისა არ იყოს, რა თქმა უნდა, ჩვენც გვაინტერესებდა დრაფტის პირველი ნომრის, პატარა ვირტუოზის და ბოლო თვეში უკვე 100 მილიონის მშოვნელი ლებრონ ჯეიმსის დებიუტი, მაგრამ არა იმდენად, რამდენადაც ნბა-ში გადაბარგებული მესამე ქართველის, ზაზა ფაჩულიას ორლანდოური ნათლობა.

დებიუტი ორივესთვის შედგა, მაგრამ ამერიკელები შედარებით კმაყოფილები დარჩებოდნენ. თუმც ლებრონს ისე არ გაუბრწყინია, როგორი რეკლამაც ჰქონდა.

თუ ჯეიმსის თამაშით უკმაყოფილო ამერიკელთა ოდენობა ძნელი დასადგენია, ფაჩულიას დებიუტით გახარებულ ქართველს ძნელად ვიპოვით. ფაჩულია იმედიანად იყო ამერიკაში ჩასვლისას, დრაფტის ღამესაც და ზემოხსენებული მატჩამდეც, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ოკეანგალმა ყველაფერი გაცილებით რთული ყოფილა.

ქართველმა ცენტრმა თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 18 წუთი დაჰყო. ამ მოკლე ვადაში ზაზამ თავი განსაკუთრებით ვერ გამოიჩინა.

მხოლოდ სათამაშო მაჩვენებლებით დასკვნების გამოტანა საორჭოფო საქმე კია, მაგრამ ფაჩულიას სტატისტიკური შედეგები ძნელად უბიძგებს ამერიკელებს კონტრაქტის გაფორმებისკენ. „ორლანდოს“ ქართველმა ახალბედამ პერიმეტრსშიგნიდან ნასროლი შეიდიე სროლა გააცუდა და ის ორი ქულაც, საბოლოოდ რომ დაუგროვდა, ოთხიდან ორი ჩაგდებული საჯარიმოს შედეგია.

ერთადერთი, რითაც ჩვენებურმა მთელ „ორლანდოს“ აჯობა, მოხსნებია. საკუთარ და მეტოქის ფარზე ფაჩულიამ სამ-სამი აცილებული ბურთი მოიხელთა, მაგრამ რად გინდა, ამავდროულად ყველაზე მეტი, 4 ბურთიც დაკარგა.

ამ მატჩით, ცხადია, ვერ განისჯება ფაჩულიას ავანჩავანი და ამერიკელებიც არ არიან ისეთი უმეცრები, ერთი შეხვედრით გადაწყვიტონ ახალგაზრდა კალათბურთელის ბედი. ეგებ ჩვენებურის თამაშში ხელჩასაჭიდი ორლანდოელთათვის ბურთების მოხსნის ნიჭი იყოს, თუმც ფაჩულიამ მომავალ შეხვედრებში თუ არ მოუმატა, სავარაუდოდ, ევროპაში გამონათხოვრება არ ასცდება.

მატჩი კი „კლივლენდმა“ 107:80 მოიგო. დღეს, გამთენიისას, „ორლანდო“ „დეტროიტს“ ეთამაშა.

ირაკლი პერტაია

ტურ დე ფრანსი 2003

ვიქტორ ჰიუგოს ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ გამარჯვებას!

კოლუმბია ველოს ქვეყანაც ყოფილა

9 ივლისი ტურ დე ფრანსზე გუნდური რბოლის დღე იყო. ტურის მონაწილე 22 გუნდმა (თითოეული 9-9 მრბოლისგან შედგება) განცალკევებით გაიარა სენ დიზიედან ჟიონვილამდე ყანებსა და ზვრებში გაჭიმული 69-კილომეტრიანი შარაგზა. ყველაზე უკეთესი დრო ჩემპიონი ლენს არმსტრონგის გუნდმა „US პოსტალმა" აჩვენა. ლურჯებს ოდნავ ჩამორჩა ტრადიციულად ძლიერი ესპანური გუნდი „ონსე", იან ულრიხის „თიმ ბიანკი" კი მესამე იყო.

„US პორტალს", მართალია, ჰყავს ლენს არმსტრონგი, ტურის ოთხგზის მომგები რკინის ველომრბოლი, მაგრამ გუნდური რბოლიდან მუდამ ხელმოცარული გამოდიოდა, ხან მეორე იყო, ხან მესამე. ახლა კი ნავსი გატყდა და გაშორნდა, რომ „US პოსტალი" მხოლოდ ერთი მრბოლის გუნდი არაა.

გუნდური რბოლა ველორბოლის ერთობ სპეციფიური სახეობაა — გუნდის დრო ცალ-ცალკე ეწერება ცხრავე მრბოლს, რაკი დისტანციას ყველანი ერთ მუშტად შეკრულნი გადიან და ფინიშსაც ერთობლივად გადაკვეთენ (აუცილებელია 9-ვე მრბოლმა დაასრულოს რბოლა, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდის შედეგი გაუქმდება, შემდეგ კი ყველა წევრი მოიხსნება შეჯიბრიდან ეტაპის ჩაგდების გამო).

„US პორტალმა" 69-კილომეტრიანი დისტანცია მინიმუმ ნახევარი წუთით ნაკლებ დროში გალია, ვიდრე უახლოესმა მდევარმა, ბევრ გუნდს კი წუთებითაც გასწრო, რისი წყალობითაც ამ გუნდის მრბოლებს საერთო ჩათვლაში გვარიანი ფორა მიეცათ და აი შედეგიც: საერთო ჩათვლის მოწინავე 11-ეულში 9 პოსტალელია. არმსტრონგი მე-12 ადგილიდან მეორეზე აღზევდა, პირველი კი მისმა კოლუმბიელმა თანაგუნდელმა ვიქტორ ჰიუგო პენამ დაიჭირა. პენა სულ რაღაც წამით უსწრებს არმსტრონგს, ეს წამი ტურის დასაწყისში, პარიზის ქუჩებში გავლილ 6,5-კილომეტრიან პროლოგში მოუგია.

პენა პირველი კოლუმბიელია, ვისაც კი ოდესმე მოურგია ტურ დე ფრანსის საოცნებო ყვითელი მაისურა. „კოლუმბიელები ამას 20 წელი ვოცნებობდით" — ამბობს მსოფლიოს უპრესტიჟულეს ველოტურში მოულოდნელად გალიდერებული ოკეანეგაღმელი. 20 წელს კი იმიტომ ახსენებს (ტურ დე ფრანსი 100 წლისაა), რომ კოკაინის და ზურმუხტების ქვეყნის წარმომადგენლები პირველად სწორედ 20 წლის წინ გამოჩნდნენ ტურ დე ფრანსში და საერთოდ ევროპაში.

„პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, როგორი აჟიოტაჟით გამოვაცილეთ ევროპაში პირველი კოლუმბიელები — ყვება პენა — ლამის ვაღმერთებდით ლუჩო ერერას, ფაბიო პარას და მათი თაობის ბიჭებს. კოლუმბია ბელგიასავითაა, ჩვენთან ყველა შეშლილია ველორბოლაზე და კოლუმბიელის ყოველი წარმატება კიდევ უფრო გვიღრმავებს ველოსიპედის სიყვარულს. მამაჩემი ველომრბოლი იყო და საკმაოდ წარმატებულიც და, რამდენადაც მახსოვს, დედაჩემიც ხშირად ხმარობდა მის ველოსიპედს. არ შეიძლებოდა მეც არ ვყოფილიყავი ველოზე შეყვარებული. მაგრამ თავდაპირველად მე მოცურავე ვიყავი, რადგან მამა მიშლიდა ველოსპორტით სერიოზულად დასაქმებას, მეუბნებოდა, ეს ძალზე მძიმე სახეობაა. ბედად მე დღეს ველომრბოლი ვარ."

სადღეისოდ პენა საშუალო კლასის მრბოლად ითვლება, ტურში ათეულობით მასზე ძლიერი მონაწილეობს და კოლუმბიელს ადრე თუ გვიან მოუწევს ლიდერის სანუკვარი ყვითელი მაისურის დათმობა, მაგრამ იგი ამას არ დარდობს. დღეს პენა 29 წლის გახდა და მთელ მეხუთე ეტაპს, ტუადან ნევერამდე 196 კილომეტრს ამ ყვითელ მაისურაში გალევს. უკეთესი საჩუქარი და სიხარული არც უნდა ვიქტორ ჰიუგო პენას.

კოტე ყორღია

IV ეტაპი 9 ივლისი

სენ დიზიე — ჟიონ ვილი 69კმ

გუნდური რბოლა

1 US პოსტალი ჩათ 18სთ 27წმ
2 ონსე + 30წმ
3 თიმ ბიანკი + 43წმ

საერთო ჩათვლა

1 ვიქტორ ჰიუგო პენა (კოლუმბია, US პოსტალი) 13სთ 44წთ 44წმ
2 ლენს არმსტრონგი (აშშ, US პოსტალი) + 1წმ
3 ვიაჩესლავ ეკიმოვი (რუსეთი, US პოსტალი) + 5წმ



REUTERS სურ. დიმიტრ ბიუდან

ვიქტორ ჰიუგო პენა პირველ დიდ გამარჯვებას ზეიმობს



REUTERS გსტაადიდან

სასიქადულო შვეიცარიელს როჯერ ფედერერს ზედ კორტზე მიართვეს შვეიცარიული საჩუქარი

აბა, ვინმე გაგეკაროს, თავში ჩავცხებ ჩოგანს ყველას

შვეიცარიის ღია პირველობა
გსტაადი. თიხნარი
საპრიზო 550 ათასი ევრო

პირველი წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — მარკ ლოპესი (ესპანეთი) 6:3, 6:7 (4:7), 6:3; რაინერ შუტლერი (2, გერმანია) — უეინ ართურსი (ავსტრალია) 6:2, 6:3; ალეშს პორეჩა (7, ესპანეთი) — იონ ვან ლოტუმი (ჰოლანდია) 6:1, 6:2; რადეკ სტეპანეკი (8, ჩეხეთი) — უგო არმანდო (აშშ) 6:3, 6:3; ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:0, 6:2

უიმბლდონური ზარხოში ჯერ ხეირიანად არ გამონელებოდა, როჯერ ფედერერს ისევ ჩოგნის ჩაბღუჯვა რომ მოუხდა.

ცხადია, არც არავინ გაამტყუნებდა, ტურფა მიროსლავას მკლავებში ოდნავ მეტხანს რომ დაყოვნებულიყო. მაგრამ რაკიღა მოუღლელი მუშაკი და თანაც პატრიოტი ბიჭია, მიროსლავასთან განცხრომას მისმომლოდინე სამშობლოში დაბრუნება და იქაურ ტურნირზე გარჯა არჩია.

შვეიცარიელებმაც მათ ახალ გმირს კაცობა დაუფასეს და ლონდონური სეფეკოინდრიდან გსტაადურ თიხნარზე გადაფრენილს ფეშქაშად კაი ჯიქანგატიკნილი, დრაკუნცულა ძროხა დაახვედრეს.

გსტაადი ერთი ბეწო ალპური დაბაა, დაბურული ტყეებით, შეყინული მთებით, უძირო ტბებითა და წმინდა ნიკოლაუსის სახელზე 1402 წელს აგებული კოხტა ეკლესიით.

კუნძულური სიბრტყოვნებიდან ალპურ მთიანეთში და თანაც, ბალახიდან მიწაზე გადაადგილებულ ფედერერს — რა გასაკვირია — ბურთაობა რომ გასჭირვებოდა და წლევანდელ უიმბლდონსასაც დასტურ გაუჭირდა უსახელო ესპანელი კვალიფიკანტის, ვინმე მარკ ლოპესის ძლევა.

20 წლის ლოპესმა წლით მასზე უფროსი შვეიცარიელი კაცურად ასაქმა და მანამ არ დანებდა, სანაც პირველი მოწოდებიდან ორი საათი არ გადაითვალა.

ნამატჩევს კომბლე-ფედერერი მის შემგულიანებელ 6-ათასიან მილეთს ემადლიერებოდა და — ნაუიმბლდონევს ისეთი დაღლილი ვარ, დღეს უკვე სხეულს ვეღარ ვგრძნობდიო, ამბობდა.

სხვათა შორის, ლეგენდარული როი ემერსონის სახელობის გსტაადურ არენაზე მართლაც 6 ათასი კაცი ეტევა, მაშინ როცა დაბაში მხოლოდ 2500 ადამიანი ცხოვრობს...

ეს ისე, ლირიკულ გადახვევად, თორემ ფედერერის გარდა იქ სხვა განთესილებმაც გაილაღეს.

ამათგან ყველაზე გამორჩევით მაინც შებერებული ესპანელის, ალექს კორეჩას ამბავი უნდა ითქვას, რამდენადაც ის შარშანდელი ჩემპიონია და ეგეც არ იყოს, გსტაადში 1998 და 2000 წლებშიც გაჰმარჯვებია.

კორეჩას ეს-ესაა, პატარა გოგოცუნა, აროა შეეძინა და როგორც ნამატჩევს თქვა, ცხოვრების უმწვერვალესი ჟამი უდგას.

29 წლის, 17-ტიტულოსანი ესპანელი ახლა მხოლოდ იმაზე სევდიანობს, რომ ახლახანვე თავის ყოფილ მწვრთნელს, 16 წლის განმავლობაში მასთან ერთად ნაჯაფარ ხავიერ დუარტეს გაეყარა.

მას აწი ვინმე ენრიკე პერესი დაეხმარება.

SYNSAM-SWEDISH OPEN
გასტაადი. თიხნარი
საპრიზო 380 ათასი ევრო

პირველი წრე

კარლოს მოია (1, ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:2, 6:7 (2:7), 6:3; ტომი რობრედო (2, ესპანეთი) — მარკუს სარსტრანდი (შვედეთი) 6:3, 6:2; რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — იუნეს ელ აინაუი (3, მაროკო) 6:3, 4:6, 6:3; მარიანო საბალეტა (5, არგენტინა) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 2:6, 6:3, 6:3; რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — მარკუს ჰიპფლი (ავსტრია) 7:5, 6:1; ჰიშამ არაზი (მაროკო) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 7:5, 6:4; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 7:6 (7:4), 6:4

შარშან მოხვეჭილი ტიტულის დაცვა ესპანელმა კარლოს მოიამ სლოვაკი დომინიკ ჰრბატის არცოუ დამაჯერებელი ძლევით დაიწყო.

სულაც ჩაიფლავა მოიას მიერ შარშანდელ ფინალში ძლეულმა მაროკელმა იუნეს ელ აინაუიმ, ვინაც 17 წლის ესპანელ ვუნდერმუჩაჩო რაფაელ ნადალს ემსხვერპლა.

ნადალის დარად იმარჯვა 18 წლის შვედმა რობინ სოდერლინგმა — ალბათ გეხსომებათ, ეს ნიჭიერი ყმაწვილი ახლახან მოთავებულ უიმბლდონობაზე მესამე წრემდე შეყოვნდა და იქ ტიმ ჰენმანისგან დაიჩოგნა.

მაროკელმა ჰიშამ არაზიმ ტურნირს უმალვე მოაკლო მისი ორგზის გამარჯვებული მაგნუს ნორმანი.

მეორე სახელიანმა შვედმა, ტოდ ვუდბრიჯთან ერთად შარშან იქ, ხოლო სამი დღის წინ ლონდონში ნაჩემპიონარმა იონას ბიორკმანმა კი არგენტინელი პუერტას ძლევით მეორე წრეში გაივაკა.

ლევან კელაურაძე

MILLER LITE HALL OF FAME TENNIS CHAMPIONSHIPS
ნიუპორტი. ბალახი
საპრიზო 380 ათასი ევრო

პირველი წრე

ბრეგორი კარა (საფრანგეთი) — ჯეიმს ბლეიკი (1, აშშ) 7:6 (7:4), 5:7, 6:4; დუშან ვეგიჩი (სერბეთი) — მარდი ფიში (3, აშშ) 7:6 (7:3), 7:5; ივან ჰირანდა (პერუ) — ბრაიან ვაალი (6, აშშ) 7:6 (8:6), 6:3; სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) — რაემონ სლოიტერი (5, პოლანდია) 6:3, 3:2 სლოიტერმა შეწყვიტა.

ლუკა ბადოერი დროს უქმად ნამდვილად არ კარგავს

ფერარის ბორბლები სტკივა

ესპანეთში ესტონელი მეფორმულე დაიბადა

ფორმულა 1-ის გუნდები ჩემპიონატის მე-11, ინგლისური ეტაპისთვის მზადებას შეუდგნენ. ეს გახლავთ ბოლო საზაფხულო სატესტო სერია, რის შემდეგაც სექტემბრამდე ნებისმიერი წავარჯიშება აიკრძალება

ბარსელონაში, „კატალუნია მონტმელოს“ ავტოდრომზე მინარდელთა გარდა თავისი მრბოლ-ბოლიდი ყველა საჯინიბომ მიავლინა. პირველ დღეს ყველაზე სწრაფი იყო „ფერარის“ ტესტ-პილოტ ლუკა ბადოერის სისხლისფერი ბედაური. იტალიელის წვრთნის მიზანი სადღეისოდ სკუდერიელთა უმთავრესი სატკივრის, „ბრიჯსტოუნის“ საბურავების გამოცდაა. იაპონურმა რეზინმა ხომ ბოლო ორ რბოლაში ფრანგულ „მიშლენზე“ გაცილებით უხეიროდ „იმუშავა“. მეორე დრო აჩვენა „უილიამსის“ სათადარიგო მძღოლმა მარკ ჟენემ, რომელიც ბადოერს თითქმის ოთხი მეათედი წამით ჩამორჩა. ორივემ ყველაზე მეტი, ხუთას-ხუთასი კილომეტრი იქროლა. უილიამსელთა მეორე მანქანა ესტონელ მარკო ასმერს ანდეს. რაკი 18 წლის ბიჭისთვის ეს პირველი სატესტო გასვლა იყო, ბოლიდზე სიმძლავრე ოდნავ შეუზღუდეს. ასმერი აეროდინამიკას ამოწმებდა და 98 წრე გართულებების გარეშე დაძლია.

ჯერაც ვერ არის ჯანზე ახალი „მაკლარენ MP4-18“, რომლის სარბოლო დებიუტიც რამდენჯერმე გადაიდო. ვერცხლისფერების ესპანელმა მეტესტე პედრო დე ლა როსამ სულ 41 წრე გაიარა, ბადოერზე 64-ით ნაკლები და ორ წამზე მეტიც წააგო. მეორე მაკელმა ალექსანდრ ვურცმა პრობლემების გამო მხოლოდ შვიდჯერ შემოუარა ტრეკს. არადა, სწორედ ესპანურმა ოთხდღიანმა გამოცდამ უნდა გადაწყვიტოს, ღირს თუ არა 20 ივლისს „სილვერსტოუნზე“, ან ორი კვირის შემდეგ გერმანიაში სიახლის საჯიროთოდ გაშვება.

გია ახალაძე

ბედნიერების რეცეპტი

მილიონები და მილიონი გამარჯვება

შუმახერების აგენტი გრძნობებს ვერ მალავს

ვინ არის მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანი? ასეთის ძებნას ვერ დავიწყებთ და რომც დავიწყოთ, საეჭვოა, ჩვენს ირგვლივ ბედნიერსა თუ არა, ყოფა-ცხოვრებით ბოლომდე კმაყოფილს მაინც ბევრს მივაგნოთ. საინფორმაციო ოპერსააგენტო „როიტერმა“ ერთი ასეთი ლონდონში იპოვა. ესაა მავანი ვილი ვებერი, თანამდებობით მიხაელ და რალფ შუმახერების სპორტული აგენტი, რომელიც გერმანელი მეფორმულე ძმების ბოლოდროინდელი წარმატებების გამო ისევე დაფრინავს, როგორც მისი ქარივით სწრაფი კლიენტები

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP



აი, ასეთი კლიენტები ჰყავს ვილი ვებერს და მისი კარგი განწყობა რა გასაკვირია?

„ფანტასტიურ გუნებაზე ვარ“ — პირდაპირ ასე ამბობს ბატონი აგენტი. რატომაა ფანტასტიურ გუნებაზე, ამის გამოცნობას დიდი მარჩიელობა არ უნდა: მიხაელმა ზედიზედ სამი ჩემპიონატის მოგების შემდეგ ამ რამდენიმე კვირის წინ მეოთხეს (სულ მეექვსეს) მოსაგებად საფუძველი შეიქმნა — მოულოდნელად დაწინაურებულ კიმი რაიკონენს გადაასწრო და საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე ალზევდა.

მიხაელმა ძალიან გაუმართლა ვებერს. სპორტული აგენტისთვის შუმის დარი კლიენტი მსოფლიოში ხომ სულ ერთი — ორია, მაგრამ განა მარტო მიხაელის წარმატებებს გაუხარებია ვილი ვებერი, თანაც რაღა ახლა გამოტყდებოდა ბედნიერებაში, როცა გერმანელი ჯერ კიდევ წლების წინ იხვეჭდა ტიტულებს და მილიონებს. ვებერი მიხაელის უმცროსი ძმის, რალფის გამო ხარობს.

რალფ შუმახერი შვიდწლიანი კარიერის მწვერვალზე დგას. ბოლო სამ რბოლაში 28 ქულა მოინაგრა და საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე ალზევდა, საიდანაც ოდენ 11 ქულა აშორებს ლიდერ უფროს ძმასთან. განსაკუთრებით ხმაურიანი გამოდგა რალფის ბოლო ორი რბოლა — ევროპისა და საფრანგეთის დიდი პრიზები, რომლებიც პატარა შუმახერმა ზედიზედ მოიგო.

არადა, მანამდე რალფს არც ისე კარგად მისდიოდა საქმე. ჩემპიონატის პირველ შვიდ ეტაპზე ის მუდამ ხვდებოდა ჩასათვლელ რვა მრბოლს შორის, მაგრამ მეოთხე ადგილს არ ასცილებია და უპოდიუმოდ გარბოლილი ლამის ნახევარი ჩემპიონატის შემდეგ მისი გუნდის, „უილიამსის“ ბოსმა სერ ფრენკ უილიამსმა მის გაშვებაზეც კი ჩამოაგდო სიტყვა. რალფს ერთხელ უკბილოც კი უწოდეს, როცა მან ვერ შეუტია წინ მავალ უფროს ძმას.

ახლა კი ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა. სერ უილიამსი ალბათ არსადაც არ გაუშვებს მრბოლს, რომელსაც საჩემპიონო შანსები გაუჩნდა. ვილი ვებერი რალფის ბრწყინვალე მომავალზე და „უილიამთან“ მისი ურთიერთობის გაგრძელებაზე ალაპარაკდა.

„კარგი იქნებოდა, გრძელვადიანი წინასწარი კონტრაქტი დაგვედო „უილიამსთან“. მე ვგრძნობ, რამდენად მნიშვნელოვანია, გუნდის განუყოფელ ნაწილად იქცე. ასეთ დროს ხომ ოჯახური მყუდროება იქმნება და ყველასთვის იოლია მუშაობა — ამბობს ვებერი — მე კმაყოფილი ვარ იმ სიტუაციით, რომელიც მე და მიხაელმა „ფერარიში“ მისთვის შევქმენით და ძალიან გამიხარდება, თუ რალფიც მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდება.“

ვებერმა, რომელიც ჯერ კიდევ ფორმულა 1-ში მოსვლამდე „პატრონობდა“ მიხაელ შუმახერს, მიაღწია „ფერარისთან“ წინასწარ შეთანხმებას და ძველი კონტრაქტის გასვლამდე მოუპოვა თავის მთავარ კლიენტს ახალი, რომლის მიხედვითაც მიხაელი „სკუდერიაში“ 2006 წლამდე დარჩება, თანაც იმ პირობით, თუ პენსიაზე გასვლა არ მოეგუნება.

ახლა ვებერს რალფისთვისაც იგივეს გაკეთება სურს და სერ ფრენკ უილიამსსაც შეუღო კარი წინადადებით — რალფი მიხაელივით მაგარია და 2009 წლამდე (!) დაიტოვე გუნდშიო.

„ფრენკს ვუთხარი, მინდა, რალფი რამდენიმე წელი „უილიამსში“ დარჩეს-მეთქი. დიახ, ჩვენ გვინდა ამ გუნდში დარჩენა, ჩვენ შეიძლება წარმატებები მოვიტანოთ და მოგვაქვს კიდეც“ — ამბობს შუმახერების სახეგაცისკროვნებული საქმეთგამრიგე.

რატომ მაინცდამაინც 2009 წლამდე? საქმე ისაა, რომ „უილიამსი“ სწორედ აქამდე აგრძელებს თანამშრომლობას ძრავების მომ-



წოდებელ სუპერკომპანია BMW-სთან, ვებერის აზრით კი, BMW-ს, „უილიამსისა“ და რალფის კომბინაცია სწორედაც რომ საჩემპიონო კომბინაციაა და მათი დაშორება უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა სერ უილიამსის საჯინიბოსთვის.

„ყოველთვის ვამბობდი, მიეცით რალფს კარგი მანქანა და ის მოიგებს რბოლებს და ჩემპიონატებს-მეთქი — თავის კლიენტს აქებს და აქებს ვებერი — ახლა მას ჰყავს კარგი მანქანა. ის მიხაელივით ნიჭიერია. მართალია ძმებს განსხვავებული ხასიათები აქვთ, შესაძლოა, რალფი მიხაელივით დიპლომატი ვერაა, მაგრამ როცა საჭეს უსხედან, ისინი ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან.“

ძოტე ყორშია

ჰოკეი



ბედშავი რომან ლიაშენკო

თურქეთში ჰოკეისტი გარდაიცვალა

NHL

ტრაგიკული ამბავი მოხდა თურქეთში. „რეინჯერსის“ მოთამაშე, თურქეთში დასასვენებლად მყოფი რომან ლიაშენკო 7 ივლისს სასტუმროს ნომერში გარდაიცვალა. 24 წლის ჰოკეისტი თურქეთში თავის დასა და დედასთან ერთად იყო. ისინი უკვე შინ მიემგზავრებოდნენ, მაგრამ დილით ჰოკეისტი აეროპორტში მიმავალ ავტობუსთან არ მივიდა, ცოტა ხანში კი მისი ცხედარიც აღმოაჩინეს. წინასწარი დიაგნოზით, ლიაშენკო გულის უკმარისობით გარდაიცვალა.

ლიაშენკომ ვერც კი მოასწრო, ნჰლ-ში სახელი გაეთქვა. 1999 წელს ის რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყო გუნდისთვის ტრიუმფალურ მსოფლიოს ჩემპიონატზე. მომდევნო სეზონშივე ლიაშენკომ ოკეანგაღმა სცადა ბედი, თუმცა ის ვერც დალასში დამკვიდრდა და ვერც რეინჯერსში გადასვლამ უშველა რამე, ბოლო სეზონში მხოლოდ ერთი თამაში ჩაატარა და ძირითადად ფარმკლუბში გამოდიოდა. სავარაუდოდ, იგი რუსეთში აპირებდა კარიერის გაგრძელებას.



სემისი ლომუ მსოფლიოში ცნობილი მამაა. დიახ, იგი ერთ დროს პლანეტის უპირველესი მორაგბის, ჯონა ლომუს შემქმნელია.
ახლა 62 წლის ავტოხელოსანი სემისი თავის დროზე ტონგადან მეზობელ ახალ ზელანდიაში ლუკმა პურის საშოვნელად გადავიდა

შვილი არ მომიკლათ, ხალხო!

ლომუს მამას დარდი ჭამს

მაშინ მისი 12 წლის ვაჟი მასთან ერთად სახელოსნოში დაფუსფუსებდა. მერე კი ჯონა რაგბის ვარსკვლავი გახდა და მისმა საბანკო ანგარიშმა შვიდნიშნობას უწია. ცხადია, ჯონამ არც ოჯახს დააკლო ხელი და მშობლები ტკბილად და უზრუნველად დაბერა.

მოხუცების იდილია ისევ ჯონამ დაარღვია. „მე ვბრუნდები" — მისმა ამ განცხადებამ უფროსი ლომუ შოკში ჩააგდო. მან დიდხანს ინახა გულში დარდები, მაგრამ ბოლოს ვერც გულმა დაიტია და სემისის სევდამ გაზეთების ფურცლებზე გადაინაცვლა.

„უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა. მე და დედამისი სასოწარკვეთილები ვართ" — ცრემლმორეულმა სემისიმ ეს უთხრა ოკლენდულ ტაბლოიდ „სანდი სთარს". მამა ლომუ შვილის გადაწყვეტილებამ ააცრემლა. 28 წლის ჯონას თირკმლის თანდაყოლილი დაავადება სჭირს. კვირაში სამი დღე საავადმყოფოს სტუმრობს და დიალიზს იკეთებს. ერთი თვის წინ ჯონასთვის შესაბამის დონორსაც ეძებდნენ, რათა სნეული თირკმელის ჯანმრთელით შეეცვალათ. და უცებ...

„თავი ასე კარგად არასდროს მიგრძვნია. ორ-სამ კვირაში დიალიზი აღარ დამჭირდება. აგვისტოდან ვარჯიშს დავიწყებ და დიდი იმედი მაქვს, რომ წლევანდელ მსოფლიოს თასზეც ვითამაშებ. ჩემი ოცნებაა, „ოლ ბლექსთან" ერთად თასი მოვიგო" — ჯონას ეს სიტყვები მოწმენდილ ცაზე მეხივით გავარდა.

ჯონას ზურგს უმაგრებს მისი მენეჯერი ფილ კინგსლი-ჯონსიც: „ჩემი კლიენტი მზადაა სათამაშოდ. ის მეომარი და შეუპოვარი პიროვნებაა. არ ვიცი, რატომ უნდა გახდეს სალაპარაკო მისი რაგბიში დაბრუნება?! ჯონა ჯანმრთელია და სულ მალე ისევ ოლბლექსელი იქნება."

ახლა, ისევ სემასის მოვუსმინოთ: „ასეთი პიროვნება, როგორიც კინგსლი-ჯონსია, არად დაგიდევთ ადამიანის სიცოცხლეს. მაგან ოლონდ ფულის საჭრელი მანქანა ნახოს და ყველაფერს ხელს მოაწერს. ფილი ჩემი შვილის მეგობარი მეგონა, ის კი ჩვენი ოჯახის მტერი ყოფილა. მან უბიძგა ჯონას, რომ დაბრუნებულიყო, თორემ ჯონას თირკმლის ტრანსპლანტაცია ჰქონდა გადაწყვეტილი, მერე მწვრთნელობას აპირებდა"...

მამა ლომუ შვილის ახალ გელფრენდს ფიონა ტეილორისაც შემოსწყრა: „მე ვთხოვე ფიონას, რომ ჯონა გადაერწმუნებინა. ფიონა დიდ გავლენას ახდენს ჩემს შვილზე, მაგრამ... მასთან საუბრის შემდეგ ჯონა კიდევ უფრო გაჯიუტდა და საბოლოოდ გადაწყვიტა, რაგბიში დაბრუნებულიყო. ვფიქრობ, ფიონამ, ღმერთმა ნუ ქნას და, საბედისწერო გადაწყვეტილება მიაღებინა."

სანამ სემისი ლომუ ყველანაირად ცდილობს, ჯონას რაგბიში დაბრუნება არ დაუშვას, მანამდე თავად ჯონა ახალ-ახალ კონტრაქტებს განიხილავს. საბოლოოდ კი ალბათ „ველინგტონს" გაურიგდება და აგვისტოში ახალი ზელანდიის პროვინციების ჩემპიონატში ითამაშებს.

ბაჩო სვანიძე

პროფების კავშირი ჩინოვნიკებს მიაწვა, მიაწვა



ავსტრალიელმა მორაგბეებმა ჩინოვნიკებს ლელო გაუტანეს

ავსტრალიის პროფესიონალ მორაგბეთა ასოციაციამ (RUPA) თავისი ქვეყნის რაგბის კავშირის (ARU) წინააღმდეგ სასამართლოში აღძრული საქმე თავადვე შეწყვიტა. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე RUPA-მ სარჩელი გამოიტანა და ავსტრალიის რაგბის კავშირის ახალ წინადადებებს განიხილავს

მორაგბეთა ასოციაცია რაგბის კავშირს ავსტრალიაში შემოდგომაზე გასამართ მსოფლიოს თასიდან თავის წილ ფულს ედავებოდა. საქმე ისაა, რომ RUPA-ს ის წევრები, რომლებიც ავსტრალიის ნაკრებში მსოფლიოს თასზე ითამაშებენ, ხელფას-პრემიების გარდა, ტელეტრანსლაციიდან და სარეკლამო საქმიანობიდან შემოსული თანხის პროცენტსაც მოელიან. მათი მოთხოვნა სამართლიანია ეს რაგბის კავშირთან დადებული კონტრაქტითაც არის გათვალისწინებული. ავსტრალიის რაგბის კავშირი კი მოთამაშეებს მცირე თანხას სთავაზობდა. დავასამართლოში გასარჩევი გახდა და როცა საკანონმდებლო ორგანომაც მოთამაშეები გაამართლა, ავსტრალიის რაგბის კავშირი დათმობაზე წავიდა.

კავშირმა მორაგბეებს ახალი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის მიხედვითაც ხელფასპრემიების გარდა მსოფლიოს თასის მონაწილენი ყოველი მატჩიდან 6 800 აშშ დოლარს მიიღებენ. ეს ორჯერ აღემატება იმ თანხას, რომელსაც კავშირი მანამდე გამოდიოდა.

ავსტრალიის რაგბის კავშირის დირექტორი ჯონ ონილი: „მიხარია, რომ ყველაფერი სასამართლოს გარეშე მოგვარდება. სულ მალე ახალ კონტრაქტებს გავაფორმებთ და მოთამაშეების პირობებს დავაკმაყოფილებთ."

პროფესიონალ მორაგბეთა ასოციაციის პრეზიდენტი ტონი დემპსი: „ახალ საკონტრაქტო პირობებს გავეცანით. ცოტა რამ კიდევ დასაზუსტებელია, მაგრამ ეს უმნიშვნელო დეტალებია და ვფიქრობ, წინასწარი შეთანხმება უკვე მიღწეულია. ჩვენ სასამართლოში აღარ ვირბენთ, რადგან რაგბის კავშირმა ყველა პირობის შესრულება აღგვითქვა."

ავსტრალიელი მორაგბეები რაგბის კავშირს მალევე შეუთანხმდებიან, რაკი კონტრაქტების გაფორმების ბოლო ვადა 31 ივლისია. ისე კი მსოფლიოს თასის 20 მონაწილიდან თავის მოთამაშეებთან ახალი კონტრაქტები ჯერ მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა გააფორმა.

ბაჩო სვანიძე

არა არს დაფარული სისხლსა და შარდში

რუმინეთის პირველი დივიზიონის „უნივერსიტატიას" ორი მორაგბე — ადრიან მანოლაკი და დრაგოშ მანოლე დოპინგ-ტესტზე ჩავარდა.

მათ სისხლში აკრძალული პრეპარატის კვალის არსებობა ორივე ტესტმა დაადასტურა. „ისინი ორი წლით მოიკვეთნენ სპორტიდან. გადაწყვეტილება საბოლოოა და აპელაცია არ განიხილება" — განაცხადა რუმინეთის რაგბის ფედერაციის პრესმდივანმა რადუ კონსტანტინმ. სწორედ ამგვარ სასჯელს ითვალისწინებს საერთაშორისო ანტიდოპინგური გლობალური პროგრამა, რომლითაც რუმინელი მორაგბეები ერთერთი პირველნი დაისაჯნენ.

ორწლიანი და შესაძლოა მეტხნიანი დისკვალიფიკაცია ელოდება რუმინელებზე გაცილებით სახელიან ირლანდიელ ფრენკი შეინს.

შეინი ირლანდიის ნაკრებისა და „მანსტერის" ჰუკერია. მამაძაღლობაში კი მაისში, ევროპის საკლუბო თასის ნახევარფინალის შემდეგ გამოიჭირეს. მისი შარდი სტიმულატორის, კერძოდ, სალბუტამოლის ნარჩენებს შეიცავდა. შეინს მალევე ჩაუტარდება ხელმეორე ტესტირება და თუ სტიმულატორებით ჭყეპვა დაუდგინდა, რუმინელების ბედს ან იქნებ უარესსაც გაიზიარებს.

ოლიმპიზმი

რიო: რიოში მარგალიტი?

ოლიმპიადა ბრაზილიელებსაც მოუნდათ

2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველი ქალაქების მოზრდილ სიას ამ დღეებში ერთიც მიემატება. ბრაზილიის მარგალიტმა რიო დე ჟანეირომ შიდაბრაზილიურ გამოკითხვაში — გამოკითხვა კი ჩაატარა ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა ასამბლეამ — აჯობა გაცილებით მოზრდილ, ინდუსტრიალურ გიგანტ-ქალაქ სან პაულუს. პლაჟებიან-მთებიანმა რიომ 23 ბრაზილელი ოლიმპიური ჩინოვნიკის ხმა მიიღო. ცათამბჯენებით გადაჭედილმა სან პაულუმ კი ოდენ 10.

„გვაპატიონ ვიღაც-ვიღაცეებმა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სილამაზე მთავარია" — რიოს მერმა სეზარ მაიამ ამ სიტყვებში ტრაბახი და დაცინვა გამოურია, უეჭველია, ვიღაც-ვიღაცეებში სანპაულუელებს გულისხმობდა.

რიოელები 15 ივლისამდე შეუერთდებიან სხვა კანდიადტებს — ჰავანას, სტამბოლს, ლეიფციგს, ლონდონს, პარიზს, მოსკოვს, ნიუ იორკს და ტორონტოს და დაუცდიან ხუთი ფინალური კანდიდატის გამოვლენას. არა, ცხადია, გულხელდაკრეფილები არ დაუცდიან, მერი ამბობს, 3 მილიარდ დოლარს ჩავდებთ ისედაც კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურის კიდევ მეტად განსავითარებლად და ქუდზე კაცს დავიბარებთ კრიმინალური ვითარების შესამსუბუქებლადო. ბატონი მერი და მისი ამქარი — დარწმუნებული ვართ — როცა დრო დადგება, არც მილიონჯერ ნათქვამის კიდევ ერთხელ გამეორებას დაიზარებენ, რომ რიო ამქვეყნიური სამოთხეა, გადასარევი პლაჟები და გეო-რელიეფი აქვს და რომ ამ ქალაქში დგას მსოფლიო სტადიონების მამა „მარაკანა".



დარწმუნებულები იყავით, რიოელები სოკ-ელ მახვშებს ქებასთან ერთად შესაბრალის სიტყვებსაც მიაფრქვევენ — სამხრეთ ამერიკას არასდროს უმასპინძლია ოლიმპიური თამაშებისთვისო. ეს მართალიცაა, ეგაა, იმავ რიომ 2004 წლის თამაშების მასპინძლის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა.

ᲕᲔᲚᲝᲫᲠᲝᲮᲔᲑᲘ

თუკი თვალი ტურ დე ფრანსის ერთი ეტაპისთვის მაინც გაგიდევნებიათ, დაგვეთანხმებით — ველოკაცები ულამაზეს ევროსანახებში რბიან. ერთ ასეთ სანახში კაი ნასუქი და ბოყოჩა ნახირიც მოდენილა — ძროხები ძოვენ, ქარავანი მიქრის.



REUTERS შარლეგელიდან

ᲥᲛᲐᲠᲬᲐᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ

ფინურმა ლეპტიკუვამ ცოლის ტარებაში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა. ფოტოზე ესტონელ ეგლე სოლს ხედავთ, რომელსაც მეულლე პირქვე გადაუგდია და ფინიშთან ისეთი დამაშვრალი სახით მირბის, თითქოს ცხოვრებაში ყველაზე გრძელი რამე გაათავა.

REUTERS ტალინიდან

ᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲖᲦᲕᲐ

ამ კეთილმა ხალხმა სამი წლის წინ ჰავანური მარინა ჰემინგუეიდან ფლორიდულ კი ვესტამდე გადებული 105 მილი — მათ წინააღმდეგ მოძრავი დინებებისა და ზვიგენთა მძუნაობის მიუხედავად — 19 საათსა და 19 წუთში დაფარა. შედეგი გინესის რეკორდად შეფასებულა და, რაკიღა ამ სამი წლის განმავლობაში კაცებმა თავიანთი ოსტატობა კიდევ უფრო სრულყვეს, მორიგი რეკორდის დამყარებას რაღა დაუშლით.

REUTERS ჰავანიდან

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

დენის ლუისი ათჭიდის ოლიმპიური ჩემპიონია, მაგრამ სამი წელიწადია, შეჯიბრში არ ჩართულა. 30 წლის დენისს ისევ ბრძოლა გადაუწყვეტია და ტალინს ჩასულა ევროპის თასის ერთ-ერთ ეტაპზე მონაწილეობის მისაღებად.



REUTERS კალგარიდან

ᲒᲐᲛᲒᲔᲓᲐᲣᲠᲝ

კალგარიში ცხენჯოგარდობის მორიგი ეტაპი ჩაავრიალეს. ყველაზე მეტად არ გაუმართლა მილფორდელ კოდი რაიდს, რომელმაც ერთ-ერთ მომენტში გახელებული ბედაური ვეღარ დაიურვა და ცხვირ-პირი შიგ ნაფუნარ ნიადაგში დურთა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოჭროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელეუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge